პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი

№ 23 (13708) | სამშაბათი, 31 იანვარი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

## დიად თარიღს ღირსეული შეხვედრა

# საიუბილეო ვახტზე

☐ რუსთავი. (საქ. კორ.). შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ხამშენებლო და საგზაო მანქანების სარემონტო ქარხნის მექანიკურ საამქროში. როცა აღნიშნული საამქროს კოლექტივი თბილისელ ელმავალმშენებელთა ახალ ინიციატივას გაეცნო, გადაწყვიტა ათი თვის გეგმა შეასრულოს 25 ოქტომბრისათვის, 0,2 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, ეკონომიისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად დაზოგოს 60 ათასი მანეთი, მოამზადოს 12 ახალი მედაზგე.

☐ ჭიათურა. (საქ. კორ.). გამართულად და მოგებით მუშაობს მარგანეცის ტრესტის ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივი.

ხუთწლედის პირველი წლის გეგმის გადამეტებით ფაბრიკის კოლექტივმა სამშობლოს ათეულ ათასობით ტონა კონცენტრატი მისცა. რაც მთავარია, აქ უაირათიანად, მომჭირნეობით მუშაობენ. საკმარისია ითქვას, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ფაბრიკის კოლექტივმა 120.000 მანეთი დაზოგა. ხელფასის ფონდში 20.500 მანეთი ეკონომია გააკეთა. მოგებამ 150.000 მანეთი შეადგინა.

აქ წარმატებით დაიწყეს საიუბილეო წელიც. ყოველდღიურად ზეგეგმით მარგანეცს იძლევიან რ. ლაბაძის, ხ. სამხარაძისა და ჯ. ხვედელიძის ცვლები.

☐ წყალტუბო. (საქ. კორ.). მშრალ პიგმენტურ და ზეთოვან საღებავებს, ოლიფას, რომელსაც წყალტუბოს ქიმიური ქარხანა უშვებს, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში იცნობენ. წელს ქარხანა თავის პროდუქციას გზავნის 280 მისამართით.

წყალტუბოელი ქიმიკოსები, რომლებმაც შარშან 208 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს სამშობლოს, წელს კიდევ უფრო მაღალნაყოფიერად შრომობენ. მათ ყველა დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით ვადამდე შეასრულეს იანვრის დავალება და 10 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს. თვის ბოლომდე კიდევ ათასობით მანეთის ქიმიურ ნაწარმს მისცემენ სამშობლოს.

# სასიხარულო ციფრები, დიდი ამოცანები

კიდევ ერთი წინგადადგმული მძლავრი ნაბიჯი. ჩვენმა ქვეყანამ დიდი წარმატებებით დაამთავრა ხუთწლედის პირველი წელი, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მთელი იმ პროგრამის წარმატებით განხორციელებას, რომელიც დასახა სკკპ XXIII ყრილობამ. ამის შესახებ ციფრებისა და ფაქტების ენით მოთხრობილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ, რომელიც ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა.

დღეს „კომუნისტში" ქვეყნდება აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

ეცნობი ამ ცნობებს, და თვალნათლივ ხედავ, თუ როგორ მტკიცე რწმენით მიაბიჯებს წინ ხუთწლედი. ციფრებსა და ფაქტებში ნათლად ჩანს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერება, კულტურისა და ხალხთა კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდა, რომელიც მოპოვებულია საბჭოთა ადამიანების გმირული შრომით.

გადავხედოთ შარშანდელ საწარმოო მიღწევებს. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მოყვანილ ციფრებში ნაჩვენებია საბჭოთა ქვეყნის მატერიალური და სულიერი ძალების განუხრელი აღმავლობის სურათი. შარშან ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო წარმოების მატებამ შეადგინა 8,6 პროცენტი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6,7 პროცენტისა. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 5 პროცენტით. დაახლოებით ათი პროცენტით გაიზარდა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია, ამასთან მარცვლის მოსავალმა მიაღწია 170,8 მილიონ ტონას და გადააჭარბა მოსავლის საშუალო წლიურ მოცულობას, რომელიც ხუთწლედით არის გათვალისწინებული.

გასულ წელს დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასულ საწარმოთა გამოცდილებამ დაადასტურა ეკონომიური რეფორმის ეფექტიანობა. ამ საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს დადგენილი გეგმები და საგრძნობლად გაადიდეს წარმოების რენტაბელობა.

მკვეთრად ამაღლდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურის დონე. საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების ამოცანის წარმატებით გადაჭრის განზოგადებული მაჩვენებელია შარშან მშრომელთა რეალური შემოსავლის 6 პროცენტით და მეტით ზრდა. ამასთან ერთად გაფართოვდა საცალო საქონელბრუნვა, მილიონობით ოჯახი გადასახლდა ახალ ბინებში და გაიუმჯობესა საბინაო პირობები, გაიზარდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა. სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომმა განვითარებამ კიდევ უფრო გაამდიდრა საბჭოთა საზოგადოების სულიერი ცხოვრება.

განუხრელად ვითარდება და წინ მიიწევს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს სსრ ეკონომიკა, კულტურა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. 1966 წელს რესპუბლიკაში დიდი მასშტაბით წარმოებდა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. სახელმწიფო სახსრებით, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების დანაზოგებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი ასეულ ათასობით კვადრატული მეტრია. გარდა ამისა, ათასობით საცხოვრებელი სახლი ააშენეს კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ.

შარშან საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ დადგენილებათა შესრულებისათვის და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში.

მიუხედავად იმისა, რომ შარშან დიდხანს იყო გვალვები, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი. 1966 წელს სახელმწიფოს მიეყიდა 226,2 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 40,2 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1965 წელს. ყველა კატეგორიის მეურნეობებმა შეასრულეს მარცვლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის, ყურძნის, ხილის, ციტრუსებისა და დაფნის ფოთლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

ხუთწლედის პირველი წლის შედეგები გვახარებს და ამავე დროს ბევრ რამესაც გვავალებს. პარტია მოითხოვს სალად შევაფასოთ სამეურნეო ვითარება, დავინახოთ არა მარტო წარმატებანი, არამედ აგრეთვე სიძნელეები, ნაკლოვანებანი. იმისათვის, რომ საჭირო დასკვნები გავაკეთოთ, ყოველმხრივ უნდა განვიხილოთ სამინისტროების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საწარმოო კოლექტივების მუშაობის შედეგები, ღრმა ანალიზი გავუკეთოთ შეძენილ გამოცდილებას, უკეთ გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი და რეზერვები.

მიმდინარე წელი დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელია. ემზადებიან რა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის, საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო აძლიერებენ შრომის ტემპებს, ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, ამთავითვე მტკიცე საფუძველს უყრიან ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებას, მეურნეობის მართვის, წარმოების დაგეგმვისა და სტიმულირების სრულყოფას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის ნაყოფიერების ზრდას, ტექნიკური დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მომჭირნეობასა და უაირათიანობას, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას.

ჩვენი ხალხის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ერთიანი მისწრაფებაა ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სახელოვან იუბილეს, მოვიპოვოთ ახალ-ახალი წარმატებები ხუთწლედისათვის ბრძოლაში.

## საქართველო ემზადება არჩევნებისათვის

# ამომრჩეველთა კლუბების ჩირაღდნები




ქუთაისი, („კომუნისტის" კორ.). კიროვაბადის ქუჩაზე, 22-ე საშუალო სკოლის ფასადზე გაკეთებული წარწერა ყველას აუწყებს, რომ აქ ამომრჩეველთა კლუბია.

ამ კლუბის გამგედ დამტკიცებულია საკონსერვო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ალ. კუპრაშვილი, რომელსაც ოცდათხუთმეტი წლის პროპაგანდისტული მუშაობის სტაჟი აქვს. კლუბმა უკვე პრაქტიკულად დაიწყო მუშაობა და თავის გარშემო ამომრჩეველთა ფართო აქტივი შემოიკრიბა. აქ ისინი ეცნობიან მდიდარ საარჩევნო ლიტერატურას, ისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს, უშვებენ კედლის გაზეთს...

ასეა ახლა. მაგრამ მალე კლუბის მუშაობა სულ უფრო სისხლსავსე და საინტერესო გახდება. პოლიტორგანიზატორებს — ფილარმონიის თეატრის პარტორგანიზაციის მდივანს კ. ძოწენიძეს, საკონსერვო ქარხნის ტექნოლოგს ც. ბერეკაშვილს, ამავე ქარხნის მოწინავე მუშას მ. მეგენეიშვილს, პურკომბინატის ინჟინერს ჯ. ბეროძეს, პედაგოგებს ნ. გვეტაძეს და ც. ნარსიას გათვალისწინებული აქვთ მოაწყონ ამომრჩეველთა შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, შრომის ვეტერანებთან.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა დაამტკიცა ამომრჩეველთა შორის პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გეგმა. გაიმართა ამომრჩეველთა კლუბების გამგეების საინსტრუქტაჟო თათბირი. კლუბებში ჩირაღდნები აინთო!

# აქტივობა იზრდება

გორი. (საქ. კორ.). ქალაქის მშრომელები აღფრთოვანებით ემზადებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 3 და საქალაქო საბჭოს არჩევნების 145 საარჩევნო ოლქი. დამტკიცდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისია 9 კაცის შემადგენლობით.

მშრომელებს მომსახურებას უწევს ამომრჩეველთა 24 კლუბი. აქ მოწყობილია პოლიტინფორმატორთა კუთხეები, გამოფენილია საარჩევნო ლიტერატურა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალები, ახალი ჟურნალ-გაზეთები, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა.

საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის ლექტორები კითხულობენ არჩევნებთან დაკავშირებულ ლექციებს ბამბეულის კომბინატში, ქარხანა „გორიხელსაწყოში" და სხვა საწარმო-დაწესებულებებში.

გორის საკონსერვო ქარხანაში მოეწყო „ლექტორის დღე". საინტერესო ლექციები წაიკითხეს პარტიის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ლექტორებმა — დოცენტებმა ბ. დარჯანიამ, მ. ჩიკვაიძემ, შ. ქურდაძემ, შ. არსენიძემ და სხვ.

დღითიდღე იზრდება მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა. ერთსულოვნად ემზადებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

# საბჭოთა მთავრობის განცხადება

საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროპის, და არა მარტო ევროპის, ქვეყნების ხალხებისა და მთავრობების ყურადღებას კვლავ იპყრობს ნაციზმისა და მილიტარიზმის ძალების საქმიანობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ყველაფერი მოწმობს, რომ, თუმცა პოტსდამის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ მოღებია ბოლო ჰიტლერიზმის დანაშაულებრივ წარსულს, რომ ნაცისტური სულისკვეთება აქ ჯერ კიდევ არ ჩამკვდარა, იგი კვლავ ცოცხლობს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბევრ ქალაქში ეწყობა მიტინგები, დემონსტრაციები და ჩირაღდნებით სვლა, რომლებიც საოცრად ჰგავს 30-იანი წლების ნაცისტურ თავყრილობებს. ფედერაციული გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო შესამჩნევ როლს ასრულებს მრავალი ორგანიზაცია, კავშირი და ჯგუფი, რომლებიც არსებითად ფაშიზმს აღიარებენ და ცდილობენ ნეონაციზმით მოწამლონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ფენები. ახალმოვლენილი ნაცისტები ემუქრებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ მოღვაწეებს, რომლებიც თავიანთი პროგრესული შეხედულებებით არიან ცნობილი, ყველას, ვინც ბედავს ბრძოლას მშვიდობისა და სხვა ხალხებთან კეთილი ურთიერთობისათვის, იმისათვის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკა რეალიზმისაკენ შემობრუნდეს.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აღორძინების გზაზე მდგომი ნაციზმი იმ საბედისწერო სენის გამოვლინებაა, რომელმაც ძირი გამოუთხარა და დაანგრია ვაიმარის რესპუბლიკა, წარმოშვა ჰიტლერული რეჟიმი და მისი საზარელი დანაშაულობანი მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ. თვით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო აღიარებს გამოქვეყნებულ ოფიციალურ ანგარიშში, რომ ნეონაცისტური პარტიები და ორგანიზაციები „ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილებს" ქადაგებენ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროგრამო დებულებანი ეგრეთწოდებული ნაციონალ-დემოკრატიული პარტიისა, რომლის წარმომადგენლებმა ამასწინანდელი არჩევნების შედეგად დეპუტატის ადგილები დაიკავეს ჰესენისა და ბავარიის ლანდტაგებში, გამსჭვალულია აშკარა შოვინიზმის სულისკვეთებით, რევანშიზმის, სხვათა ტერიტორიების დაპყრობის წყურვილით, მისწრაფებით აღადგინონ მესამე რაიხი და „ევროპის პირველ სახელმწიფოდ" გადააქციონ იგი.

აღნიშნული პარტიის წარმომადგენლები ეწევიან კამპანიას ნაციზმის სრული რეაბილიტაციისათვის, ცდილობენ გაამართლონ ჰიტლერელ სამხედრო დამნაშავეთა ბოროტმოქმედებანი, თვითონ ისინი კი ლამის ეროვნულ გმირებად წარმოგვიდგინონ.

ნეონაცისტები მოითხოვენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულიად შეუზღუდავ მილიტარიზაციას, დასავლეთ გერმანიის არმიის აღჭურვას რაკეტულ-ატომური იარაღით, გენერალური შტაბის აღდგენას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნეონაცისტური ძალების აქტივიზაციის საფრთხის შემცირების ცდები, ხაზგასმულია განცხადებაში, ბევრ რამეში ჰგავს იმ დამამშვიდებელ განცხადებებს, რომლებსაც აკეთებდნენ წარსულში, როცა ნაციონალ-სოციალისტური პარტია გერმანიის სახელმწიფო ცხოვრებაში შეჭრას ცდილობდა. მაშინ, ისევე როგორც ახლა, ჯეროვნად ვერ აფასებდნენ საფრთხეს, რომელსაც ნაცისტები ქმნიდნენ, იმოწმებდნენ მათს მცირერიცხოვნობას და იმას, რომ ისინი არსებით როლს არ ასრულებდნენ გერმანიის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. რა მოუტანა ამან ევროპას — ყველამ კარგად იცის.

საბჭოთა მთავრობამ უკვე მიაპყრო სახელმწიფოთა და ხალხთა ყურადღება იმ ფაქტს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფარულად წარმოებს მუშაობა საკუთარი ატომური და რაკეტული მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

ინილბებიან რა „ტექნიკურ პროგრესში ჩაბმის" აუცილებლობის შესახებ მსჯელობით და სარგებლობენ რა იმით, რომ ატომური, რაკეტული და კოსმოსური ტექნიკის ახალ მიღწევათა მშვიდობიანი და სამხედრო გამოყენების შესაძლებლობანი მჭიდროდ არის გადახლართული, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარისტული წრეები სამხედრო ხასიათის ფართო მუშაობას ეწევიან ამ დარგებში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები მთავარ ყურადღებას აპყრობენ შორს გამიზნული ატომური კვლევის გაშლას და ამავე დროს ცდილობენ „დამოუკიდებლობა" მოიპოვონ ატომური იარაღის მიტანის საშუალებათა დარგშიც. ამას წინათ მიღებულ ეგრეთწოდებულ „რაკეტულ მემორანდუმში" გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წამყვანმა მონოპოლიებმა აშკარად გამოაცხადეს ყველაზე თანამედროვე სახეობათა შეიარაღების წარმოების გაშლის, საკუთარი ძალებით რაკეტული ტექნიკის შექმნის კურსი და ფაქტიურად მოითხოვეს ბონის სამხედრო ხროვის განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას დაექვემდებაროს ფედერაციული გერმანიის მთელი ეკონომიკა.

დღეს ბუნდესვერი, რომელსაც სათავეში უდგანან ყოფილი ჰიტლერელი ოფიცრები და გენერლები, ერთ-ერთი უდიდესი არმია გახდა და პრეტენზია აქვს დასავლეთ ევროპაში ნატოს სამხედრო ორგანიზაციის მთავარი დამკვრელი ძალის როლს ასრულებდეს.

როგორ დავუკავშიროთ ყოველივე ეს პოტსდამის შეთანხმებას, რომელმაც საქვეყნოდ დაგვავალა მიგველო უაღრესად გადამწყვეტი ღონისძიებანი, „რათა სამუდამოდ აღიკვეთოს გერმანიის მილიტარიზმისა და ნაციზმის აღორძინება თუ რეორგანიზაცია"? განა ეს შეთანხმება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას არ ეხება?

საიდუმლო არ არის, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, რომ ნეონაცისტურმა ძალებმა სწორედ მაშინ წამოყვეს თავი, როცა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აშკარად დაიწყო სამხედრო და პოლიტიკური წანამძღვრების პრაქტიკული მომზადება განვლილი ომის შედეგების რევიზიისათვის. ევროპის ახლანდელი საზღვრების გადასინჯვის, ატომური იარაღის ხელში ჩაგდების მოთხოვნები, გერმანიის მილიტარიზაცია, ევროპაში საერთაშორისო დაძაბულობის გაწვავების ცდები, აგრესიული სამხედრო-სტრატეგიული კონცეპციების წამოყენება, მტრული პოზიცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, სიძულვილის ქადაგება იმ ხალხებისადმი, რომლებსაც ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებენ, — ყოველივე ეს უაღრესად ხელსაყრელ ატმოსფეროს უქმნის პროფაშისტური ელემენტების ნაციონალ-შოვინისტურ რასისტულ საქმიანობას. ვის შეუძლია ასეთ პირობებში გარანტია მოგვცეს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არ გამოჩნდება რომელიმე ახალი ჰიტლერი, და თანაც ატომური იარაღით ხელში? ასეთ გარანტიას ვერავინ ვერ მოგვცემს.

არ შეიძლება, რა თქმა უნდა, არ ვხედავდეთ იმასაც, რომ დასავლეთ გერმანიის თანამედროვე სინამდვილე ამასთანავე ზოგიერთი იმ სახელმწიფოს პოლიტიკის პროდუქტია, რომლებმაც უღალატეს ანტიჰიტლერული კოალიციით ნაკისრ თავიანთ ვალდებულებებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აგრესიულ ძალებთან შეთანხმების გულისათვის და მხარსაც კი უჭერენ მათს რევანშისტულ მისწრაფებებსა და ატომურ ამბიციებს.

სამწუხაროდ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მონაწილეობით შექმნილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯები საფუძველს არ გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ ქვეყნის კურსი შეესაბამებოდეს

(დასასრული მე-2 გვერდზე).



სოციალისტური მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და წარმოების ეკონომიური სტიმულირების მეცნიერულად დასაბუთებული ახალი სისტემა სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. ემზადება რა ახალ ეკონომიურ სისტემაზე გადასასვლელად, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ახლა არა მარტო კომბინატის, არამედ თვითეული მწარმოებლის შრომითი მოღვაწეობის შეფასება ხდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მიხედვით. სურათზე: საქსოვი წარმოების მოსამზადებელი საამქროს ქვეოსტატი თ. თუთარაული (მარჯვნივ) ამოწმებს ე. საპოჟნიკოვას მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

# ხუთწლედის პირველი წელი

## საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

ახორციელებენ რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს სსრ მშრომელებმა 1966 წელს — ახალი ხუთწლედის პირველ წელს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმატებით განვითარებას და მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

### I. მრეწველობა

საქართველოს სსრ სამრეწველო წარმოების წლიური გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. 1965 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 12 პროცენტით, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 10 პროცენტი.

პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოებმა შეასრულეს 104 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა — 107 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკის — 104 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა — 113 პროცენტით. 1965 წელთან შედარებით მრეწველობის პროდუქციის წარმოება ქალაქ თბილისში გაიზარდა 8 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 9 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 10 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 20 პროცენტით.

რესპუბლიკის მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქცია წინა წელთან შედარებით გადიდდა:

| | 1966 წელი პროცენტობით 1965 წელთან შედარებით |
|---|---|
| შავი მეტალურგია | 103 |
| სათბობის მრეწველობა | 103 |
| ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება | 113 |
| მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება | 112 |
| ქიმიური და რეზინა-ასბესტის მრეწველობა | 116 |
| საშენ მასალათა მრეწველობა | 111 |
| სატყეო, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობა | 106 |
| მსუბუქი მრეწველობა | 110 |
| აქედან საფეიქრო | 110 |
| კვების მრეწველობა | 113 |
| აქედან ხორცის | 120 |
| კარაქის, ყველისა და რძის სხვა პროდუქტების წარმოება | 107 |
| ღვინის | 123 |
| ჩაის | 120 |
| თამბაქოს | 87 |
| კონსერვის | 98 |

რესპუბლიკის ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოების მიერ პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

| | წლიური გეგმის შესრულების პროცენტი | 1966 წელი პროცენტობით 1965 წელთან შედარებით |
|---|---|---|
| ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველო | 95 | 112 |
| საქართველოს ქვანახშირის კომბინატი | 102 | 98 |
| ქიმიური მრეწველობის სამმართველო | 88 | 120 |
| სატყეო, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო | 103 | 106 |
| საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო | 103 | 109 |
| მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო | 102 | 110 |
| კვების მრეწველობის სამინისტრო | 107 | 116 |
| „საქმთავარკონსერვხილბოსტანი" | 107 | 93 |
| ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო | 121 | 115 |
| რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა" | 104 | 97 |
| მშენებლობის სამინისტრო | 98 | 112 |
| საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო | 74 | 108 |
| ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო | 107 | 126 |
| პურის პროდუქტების და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველო | 103 | 107 |
| საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო | 104 | 102 |
| კულტურის სამინისტრო | 121 | 130 |
| განათლების სამინისტრო | 123 | 90 |
| ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო | 107 | 109 |
| ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი | 105 | 105 |
| უსინათლოთა საზოგადოება | 107 | 136 |
| ყრუ-მუნჯთა საზოგადოება | 123 | 127 |
| სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი | 120 | 88 |

1966 წლის გეგმა შეასრულა ყველა საკავშირო-რესპუბლიკურმა და რესპუბლიკურმა სამრეწველო სამინისტრომ, ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოსა და ქიმიური მრეწველობის სამმართველოს გარდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წელი) პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად შარშან სამრეწველო საწარმოები თანდათანობით გადადიოდნენ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე გადავიდა 9 საწარმო.

ძირითად სახეობათა სამრეწველო პროდუქცია წარმოებულია შემდეგი ოდენობით:

| | წარმოებულია 1966 წელს | 1966 წელი პროცენტობით 1965 წელთან შედარებით |
|---|---|---|
| თუჯი — ათასი ტონა | 814 | 99,4 |
| ფოლადი — ათასი ტონა | 1422 | 104 |
| ნაგლინი — ათასი ტონა | 1053 | 106 |
| ფოლადის მილები — ათასი ტონა | 424 | 102 |
| კოქსი — ათასი ტონა | 666 | 100,3 |
| ქვანახშირი — ათასი ტონა | 2581 | 98 |
| ელექტროენერგია — მილიონი კილოვატ-საათი | 6443 | 108 |
| მინერალური სასუქები — ათასი ტონა | 446 | 102 |
| სამაგისტრალო ელმავლები — ცალი | 176 | 95 |
| სატვირთო ავტომობილები — ათასი ცალი | 12 | 115 |
| ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი | 3938 | 85 |
| სასოფლო-სამეურნეო მანქანები (სათადარიგო ნაწილების გარდა) — მილიონი მანეთისა | 2.1 | 51 |
| ცემენტი — ათასი ტონა | 1465 | 107 |
| შიფერი — მილიონი პირობითი ფილა | 59 | 114 |
| ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა | 743 | 115 |
| ქაღალდი — ათასი ტონა | 32 | 100,3 |
| ავეჯი — მილიონი მანეთისა | 25 | 110 |
| სარეცხი მანქანები — ათასი ცალი | 101 | 164 |
| ბამბის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი | 47 | 100,2 |
| შალის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი | 5 | 118 |
| აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი | 21 | 105 |
| წინდა — მილიონი წყვილი | 15 | 116 |
| ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი | 18 | 100.0 |
| ზედა ტრიკოტაჟი — ათასი ცალი | 5857 | 118 |
| ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი | 12 | 107 |
| ხორცი* — ათასი ტონა | 31 | 113 |
| ყველი* — ათასი ტონა | 10 | 107 |
| კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა | 150 | 119 |
| მარგარინი — ათასი ტონა | 15 | 79 |
| კარაქი* — ტონა | 719 | 83 |
| მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — ათასი ტონა | 67 | 107 |
| მაკარონის ნაწარმი — ათასი ტონა | 14 | 84 |
| ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული ჩაი — ათასი ტონა | 17 | 108 |
| ყურძნის ღვინო* — მილიონი დეკალიტრი | 11 | 126 |
| შამპანური — მილიონი ბოთლი | 8 | 104 |
| პაპიროსი და სიგარეტი — მილიონი ცალი | 17 | 92 |
| საპონი (ცხიმოვანი მჟავების 40-პროცენტიან შემცველობაზე გადაანგარიშებით) — ათასი ტონა | 20 | 102 |

*) კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინწარმოების გარდა.

1966 წელს მთლიანად გადაჭარბებით შესრულდა თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, კოქსის, ქვანახშირის, მინერალური სასუქების, შიფერის, ლითონსაჭრელი ჩარხების, კოშკური ამწეების, სატვირთო ავტომობილების, ქაღალდის, შალის ქსოვილების, ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლის, კონსერვების, საკონდიტრო ნაწარმის, მაკარონის ნაწარმის, მცენარეული ზეთის, ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული ჩაის, ხორცის, ძეხვეულის, კარაქის, ცხიმიანი ყველის, მარგარინის, მოუხდელი რძის პროდუქციის და სხვა სახეობათა ნაწარმის წარმოება.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები, სამშენებლო ორგანიზაციები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებანი ეწეოდნენ მუშაობას მეცნიერული კვლევის დარგში და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დასანერგავად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

1966 წელს შესრულდა 220-ზე მეტი დავალება უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა დარგში, დამზადებულია საცდელი ხელსაწყოების, მანქანებისა და მოწყობილობის სრულიად ახალ სახეობათა 50 ნიმუში. დანერგილია 50 ღონისძიება მექანიზაციის დარგში, 30 — საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის დარგში და 70-ზე მეტი ღონისძიება — მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის დარგში. რესპუბლიკის მრეწველობაში მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და მოწინავე ტექნოლოგიის ღონისძიებათა დანერგვის შედეგად დაზოგილია დაახლოებით მილიონნახევარი მანეთი.

მოქმედი მოწყობილობის წარმადობის ამაღლებისა და ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა გაფართოების მიზნით რესპუბლიკის საწარმოებში 1966 წელს მოდერნიზებულ იქნა დაახლოებით 260 ლითონსაჭრელი ჩარხი, სამჭედლოსაწნეხი და სხვა მოწყობილობა, მათ შორის მანქანათსამშენებლო და ლითონდამმუშავებელ საწარმოებში — 230 ერთეული.

გასულ წელს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებსა და ორგანიზაციებში შეტანილი იყო წარმოების გაუმჯობესებისა და სრულყოფის 28 ათასზე მეტი წინადადება. სულ დაინერგა 17 ათასამდე გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტი შეადგენს 19 მილიონ მანეთს წელიწადზე გაანგარიშებით.

(დასასრული მე-2 გვ).

# ხუთწლედის პირველი წელი

**საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ**

(დასასრული)

[illegible]

სამშენებლო მასალათა მრეწველობის სამინისტრომ— სამშენებლო აგურისა; „საქმთავარკონსერვხილბოსტანმა“ — შაქრის ჭარხლის ფხვნილი შაქრისა.

## II. სოფლის მეურნეობა

ახორციელებენ რა სკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებას, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 1966 წელს გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ შარშან დიდხანს იყო გვალვები, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავალი.

1966 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 226,2 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 40,2 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

ყველა კატეგორიის მეურნეობებმა შეასრულეს **მარცვლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის, ყურძნის, ხილის, ციტრუსებისა და დაფნის ფოთლის** სახელმწიფოსათვის ჩაბარებისა და მიყიდვის გეგმა.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს 1967 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა. 1966 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ბაღ-ვენახების, ჩაის პლანტაციებისა და დაფნის ნარგავების გაშენების გეგმა. გაშენებულია 5.009 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 3.908 ჰექტარი ვენახი, 1.490 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 800 ჰექტარი ციტრუსები, 710 ჰექტარი დაფნის ნარგავები.

1966 წელს წინა წელთან შედარებით კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში სარწყავი მიწების ფართობი გაიზარდა და 331 ათასი ჰექტარი შეადგინა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს მზადება საგაზაფხულო თესვისათვის. 1967 წლის მოსავლისათვის მზრალად მოხნულია 27,5 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე წინა წელს. შეკეთებულია 1966 წლის მეოთხე კვარტალის გეგმით გათვალისწინებულზე მეტი ტრაქტორები და სხვა ტექნიკა.

**პროდუქტიული პირუტყვის** სულადობამ აღწერის მონაცემების მიხედვით 1967 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა:

| | ყველა კატეგორიის მეურნეობანი: ათასი სული | 1967 წელი პროცენტობით 1966 წელთან შედარებით | მათ შორის კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და სხვა სახელმწიფო მეურნეობანი: ათასი სული | 1967 წელი პროცენტობით 1966 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|
| მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | 1579,5 | 104 | 660,3 | 100,5 |
| აქედან ძროხა და ფურ-კამეჩი | 632,1 | 104 | 184,2 | 99,5 |
| ღორი | 617,7 | 108 | 235,7 | 102 |
| ცხვარი და თხა | 2.270,9 | 104 | 1.454,0 | 104 |

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობებში გაიზარდა 65,7 ათასი სულით, აქედან ძროხის და ფურ-კამეჩისა — 24,4 ათასი სულით, ღორის სულადობა — 43,3 ათასი სულით, ცხვრისა და თხის სულადობა — 97,2 ათასი სულით.

გადიდდა პირუტყვის პროდუქტიულობა. საშუალო ნაწველი ერთ ძროხაზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1965 წელთან შედარებით გაიზარდა 2,5 პროცენტით, მატყლის საშუალო ნაპარსი ერთ ცხვარზე — 21 პროცენტით.

ფრინველის რაოდენობამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1967 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 2288,2 ათასი სული, რაც 32 პროცენტით მეტია, ვიდრე 1966 წლის პირველი იანვრისათვის იყო.

პირუტყვის სულადობის გაზრდამ და **პროდუქტიულობის გადიდებამ უზრუნველყო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება.**

**მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში**

| | 1965 წელი | 1966 წელი | 1966 წელი პროცენტობით 1965 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|
| ხორცი (დაკლული წონით) — ათასი ტონა | 92,8 | 99,3 | 107 |
| რძე — ათასი ტონა | 470,7 | 492,8 | 105 |
| კვერცხი — მილიონი ცალი | 305,2 | 320,0 | 105 |

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდამ საშუალება მოგვცა გაგვედიდებინა ამ პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა:

**მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა ყველა კატეგორიის მეურნეობებში**

| | 1965 წელი | 1966 წელი | 1966 წელი პროცენტობით 1965 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|
| პირუტყვი და ფრინველი — ათასი ტონა (ცოცხალი წონა) | 52,9 | 58,3 | 110 |
| რძე — ათასი ტონა | 141,2 | 143,8 | 102 |
| მატყლი — ათასი ტონა | 5,0 | 5,4 | 108 |

მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმა ვადამდე შესრულდა. გეგმის გადამეტებით შესყიდულია 6 ათასი ტონა პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა), 3,8 ათასი ტონა რძე, 3,4 მილიონი ცალი კვერცხი.

გაუმჯობესდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საფინანსო მდგომარეობა. კოლმეურნეობათა **საერთო შემოსავალი** 1965 წელთან შედარებით 9 პროცენტით გაიზარდა. **საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად მოგებით დაამთავრეს წელი.**

ამასთანავე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში არის ნაკლოვანებანი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა მთელ რიგ რაიონებში კვლავ მცირეა, ნელა წარმოებს მუშაობა თესლბრუნვების დასანერგად. ყველგან ეფექტიანად როდი იყენებენ სარწყავ და ამოშრობილ მიწებსა და მინერალურ სასუქებს. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების თვითღირებულება კვლავ მაღალია, წარმოება არარენტაბელურია; საბჭოთა მეურნეობების ერთმა ნაწილმა ვერ შეასრულა მოგების გეგმები, ზოგიერთმა საბჭოთა მეურნეობამ კი ზარალით დაამთავრა წელი.

**კვლავ მტკიცდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.** განვლილ წელს კაპიტალური მშენებლობის დიდი პროგრამა შესრულდა სოფლის მეურნეობაში: სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალურმა დაბანდებამ 182 მილიონი მანეთი შეადგინა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ განვლილ წელს მიიღო: 2.815 ფიზიკური ერთეული ტრაქტორი (5.066 15-ძალიანზე გადაანგარიშებით); 995 სატვირთო ავტომობილი, 350 მარცვლის ასაღები და 70 სილოსის ასაღები კომბაინი, ტრაქტორის დიდძალი კიდული და მისაბმელი მანქანა: 2.226 გუთანი, 523 სათესი მანქანა, 543 კულტივატორი, 512 საოშავი მანქანა, 467 სათიბი მანქანა, 9 უნივერსალური სატვირთელა, 175 საწვიმი მანქანა, 181 მინერალური სასუქების მოსაბნევი მანქანა, 407 ათასი ტონა მინერალური სასუქი, რაც 41 ათასი ტონით მეტია, ვიდრე წინა წელს.

## III. კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე **ამოქმედდა ახალი საწარმოო სიმძლავრეები.**

მწყობრში ჩადგა ახალი სამრეწველო საწარმოები: სურამის მინის ტარის ქარხანა, ხუდონის თაბაშირის ქვის კარიერი, ვაზიანის ელექტროგადამცემი ხაზის რკინაბეტონის საყრდენთა პოლიგონი, თელავის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის წინდის წარმოება, ფოთის სამკერვალო ფაბრიკა, ქუთაისის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ქისტაურ-ახმეტის ღვინის ქარხანა, ზვარეს ჩამოსასხმელი ქარხანა, ცაიშის ჩაის ფაბრიკა და სხვ. ამას გარდა, საექსპლოატაციოდ გადაეცა სიმძლავრეები მოქმედ საწარმოებში: სინთეზური აბრეშუმისა რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანაში, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მღარევის მაღარო, ელექტროფეროსადნობი ღუმელები ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, ზეთების ადსორბციული გაწმენდა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში, გადიდდა ლითონსაჭრელი ჩარხების, ლითონდასამუშავებელი ინსტრუმენტის, სართავი თითისტრების, საქსოვი დაზგების, ხის ბურბუშელის ფილების, ავეჯის, ყურძნის გადასამუშავებელი, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების გამოსაშვები სიმძლავრეები, მწყობრში ჩადგა ელექტროსადგურები და ელექტროქსელები, ახალი ელექტროგადამცემი ხაზები, ტრანსფორმატორული სადაბლებელი ქვესადგურები, სამაცივრო დანადგარები, საავტომობილო გზები, ავტომატური სატელეფონო სადგურები, ტყიბულ-ამბროლაურის ტელეგადაცემის ხაზი. გადიდდა სარწყავი და ამოშრობილი მიწების ფართობი. აშენდა მარცვლეულის საწყობები, მინერალური სასუქების საწყობები, მეცხოველეობის სადგომები პირუტყვისა და ფრინველის შესანახად. მწყობრში ჩადგა საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოები. ამასთანავე ზოგიერთი საწარმოო სიმძლავრის ამოქმედების გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა.

1966 წელს სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულმა **კაპიტალურმა დაბანდებამ** რესპუბლიკაში შეადგინა 531 მილიონი მანეთი, აქედან სამშენებლო სამუშაოებმა — 296 მილიონი მანეთი. 1965 წელთან შედარებით კაპიტალური დაბანდების მოცულობა 8 პროცენტით გაიზარდა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 11 პროცენტით. ამავე დროს კაპიტალური დაბანდებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა.

1966 წელს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა საკუთარი ძალებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა შარშანდელთან შედარებით 30 პროცენტით გაადიდეს.

სამშენებლო ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს მუშაობა ახალი ტექნიკის დასანერგად სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებზე, უკეთ იყენებდნენ სამშენებლო მანქანებსა და მექანიზმებს.

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხაზით 1966 წელს წინა წელთან შედარებით 8,5 პროცენტით გაიზარდა.

## IV. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

**ამიერკავკასიის რკინიგზამ** (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთების გაგზავნის წლიური გეგმა 101 პროცენტით შეასრულა, აქედან ქვანახშირისა — 104 პროცენტით, ნავთობტვირთისა — 102 პროცენტით, შავი ლითონებისა — 103, ყოველგვარი მადნისა — 100,5 პროცენტით, მინერალური სასუქებისა — 89 პროცენტით.

საშუალო სადღეღამისო დატვირთვის წლიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვისა — 100,6 პროცენტით. 1965 წელთან შედარებით საშუალო სადღეღამისო დატვირთვა გაიზარდა 4 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვა — 3 პროცენტით.

სატვირთო მატარებლის საშუალო საუბნო სიჩქარის წლიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. მაგრამ არ შესრულებულა სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დროის, ერთ ტექნიკურ სადგურზე ერთი სატვირთო ოპერაციისათვის ვაგონის დგომის საშუალო დროის გეგმა.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის **საავტომობილო ტრანსპორტით** 1966 წელს გადაზიდულია 69 მილიონზე მეტი ტონა ტვირთი, ამასთან გავლილია 937 მილიონი ტონა-კილომეტრი.

ტვირთზიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით, ტვირთბრუნვისა — 102 პროცენტით. 1965 წელთან შედარებით ტვირთზიდვა გაიზარდა 12 პროცენტით, ტვირთბრუნვა—11 პროცენტით.

ცენტრალიზებულმა გადაზიდვამ შეადგინა ტვირთზიდვის საერთო მოცულობის 79 პროცენტი. 1965 წელთან შედარებით ცენტრალიზებული გადაზიდვა 27 პროცენტით გაიზარდა.

გასულ წელს **დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ წესზე,** ექსპერიმენტის სახით, **გადაყვანილია საერთო სარგებლობის ავტომეურნეობანი, რომლებსაც 1600-ზე მეტი ავტომანქანა ჰყავთ; ამ ავტომეურნეობებში გაუმჯობესდა ავტომობილებით სარგებლობა, შემცირდა მოცდენა და უტვირთო გარბენები, გადიდდა მოგება და მოგების ანარიცხები ბიუჯეტში.** ამ ავტომეურნეობებში 1965 წელთან შედარებით მოგება გაიზარდა 124 პროცენტით, მოგების ანარიცხი ბიუჯეტში — 64 პროცენტით.

1966 წელს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტობუსებით გადაყვანილია 400 მილიონზე მეტი მგზავრი და გავლილია სამ მილიარდზე მეტი მგზავრ-კილომეტრი. შარშანდელთან შედარებით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 9 პროცენტით, მგზავრთბრუნვა—11 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანის წლიური გეგმა შესრულებულია 109 პროცენტით, მგზავრთბრუნვა—107 პროცენტით.

მსუბუქი ტაქსომოტორების გამოყენების წლიური გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით; 1965 წელთან შედარებით მათი მუშაობა 13 პროცენტით გადიდდა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს **საჰაერო ტრანსპორტით** გადაყვანილია ერთ მილიონზე მეტი მგზავრი და შესრულებულია ერთ მილიარდზე მეტი მგზავრ-კილომეტრი. შარშანდელთან შედარებით ავიატრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 23 პროცენტით, მგზავრთბრუნვა—28 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანის წლიური გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით, მგზავრთბრუნვა—110 პროცენტით.

**გზატკეცილთა მთავარმა სამმართველომ** საავტომობილო გზების რემონტის წლიური გეგმა (სდგილობრივი გზების ჩაუთვლელად) შეასრულა 100,3 პროცენტით, აქედან საკავშირო მნიშვნელობის გზებისა—100,6 პროცენტით, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებისა—100,1 პროცენტით. შარშანდელთან შედარებით გზების რემონტის სამუშაოთა მოცულობა 3 პროცენტით გაიზარდა.

1966 წელს გადიდდა **კავშირგაბმულობის საწარმოთა ქსელი,** გაიხსნა 42 ახალი განყოფილება. საქალაქო ავტომატური სატელეფონო სადგურების სიმძლავრე წლის განმავლობაში გადიდდა 17,6 ათასი ნომრით. სოფლად საექსპლოატაციოდ გადაცემულია 18 ავტომატური სატელეფონო სადგური. სოფლად ავტომატური სატელეფონო სადგურების სიმძლავრე გადიდდა 1.400 ნომრით.

## V. ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიურმა რიცხვმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 1.260 ათასი შეადგინა და წლის განმავლობაში 58 ათასით გადიდდა.

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი შარშანდელთან შედარებით 3 პროცენტით და უფრო მეტად გადიდდა.

დახმარება და შეღავათები, რასაც მოსახლეობა იღებდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან, შეადგენს 700 მილიონ მანეთზე მეტს და შარშანდელთან შედარებით 9,6 პროცენტით გაიზარდა. ამ ფონდების ხარჯზე უზრუნველყოფილი იყო სოციალური დაზღვევა, უფასო სწავლა და სამედიცინო მომსახურება; სხვადასხვა დახმარების, პენსიების, სტიპენდიების, სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლების უფასო ან შეღავათიანი საგზურების გაცემა; შვებულებების ანაზღაურება; საბავშვო ბაღებისა და ბაგების შენახვა და სოციალურ-კულტურული მომსახურების სხვა ფორმების უზრუნველყოფა.

მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში წლის განმავლობაში 119 მილიონი მანეთით ანუ 34 პროცენტით გადიდდა და 1967 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 474 მილიონი მანეთი. ანაბრების რიცხვმა 835 ათასს მიაღწია.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** შარშან შეადგინა 1.593 მილიონი მანეთი და შესადარ ფასებში 8,6 პროცენტით გაიზარდა.

გარდა ამისა, გაიყიდა კოლმეურნეებისაგან შესყიდული და კოლმეურნეობებისაგან საკომისიოდ მიღებული 26 მილიონი მანეთის საქონელი. საქონელბრუნვის წლიური გეგმა შესრულებულია.

**ცალკეული საქონლის გაყიდვა** სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

| | გაიყიდა 1966 წელს პროცენტობით 1965 წელთან შედარებით |
|---|---|
| პურის პროდუქტები | 108 |
| ხორცი და ხორცის პროდუქტები | 108 |
| თევზი, ქაშაყი და თევზის სხვა პროდუქტები | 109 |
| კარაქი | 98 |
| მცენარეული ზეთი | 104 |
| რძე და რძის პროდუქტები | 109 |
| ყველი | 112 |
| კვერცხი | [illegible] |
| შაქარი | [illegible] |
| საკონდიტრო საქონელი | 104 |
| ჩაი | [illegible] |
| კარტოფილი | [illegible] |
| ბოსტნეული | 96 |
| ხილი | 103 |
| ბამბის ქსოვილები | 108 |
| შალის ქსოვილები | 105 |
| აბრეშუმის ქსოვილები | 104 |
| სელის ქსოვილები | 112 |
| ტანსაცმელი და საცვლები | 107 |
| ტრიკოტაჟის ნაწარმი | 121 |
| წინდები | 114 |
| ტყავის ფეხსაცმელი | 110 |
| ფაიფურ-ქაშაურისა და მინის ჭურჭელი | 114 |
| საპონი | 104 |
| სინთეზური სარეცხი საშუალებანი | 129 |
| ავეჯი | 115 |
| საკერავი მანქანები | 94 |
| საათები | 105 |
| ველოსიპედები და მოტოველოსიპედები | 114 |
| რადიომიმღებები და რადიოლები | 120 |

სასაქონლო რესურსების ზრდის მიუხედავად ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების მთელ რიგ საქონელზე.

1966 წელს დიდი ოდენობით ხორციელდებოდა **საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.** კომუნალური ობიექტების მშენებლობის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით.

სახელმწიფო სახსრებით, აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით 1966 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 1.210 ათას კვადრატულ მეტრს, აქედან სახელმწიფო მშენებლობის ხაზით, საბინაო კოოპერაციის ჩათვლით — 750 ათასი კვადრატული მეტრი. გარდა ამისა, კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ აიშენეს 7,6 ათასი საცხოვრებელი სახლი.

მარტო გასულ წელს ახალ ბინებსა და სახლებში გადავიდა 120 ათასი კაცი.

გასულ წელს მნიშვნელოვანი ოდენობით ხორციელდებოდა განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობა. საექსპლოატაციოდ გადაეცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 18,4 ათასი მოსწავლისათვის, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები — 1.170 მოსწავლისათვის, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებანი — 5,3 ათასი ბავშვისათვის, საავადმყოფოები და პოლიკლინიკები 1.145 კაცისათვის და სხვ.

გასულ წელს დიდი სამუშაოები შესრულდა ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სასოფლო რაიონული ცენტრების კეთილმოწყობად.

მოსახლეობის სამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურების (ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ტელევიზორების, მაცივრებისა და სხვა საყოფაცხოვრებო მანქანების და ხელსაწყოების შეკეთება) სამუშაოთა მოცულობა გასულ წელს გაიზარდა 13 პროცენტით, არასამრეწველო ხასიათის მომსახურება (აბანოები, საპარიკმახეროები, გაქირავების პუნქტები, ფოტოგრაფია და სხვ.) — 8 პროცენტით. მაგრამ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა რიცხვი, განსაკუთრებით სოფლად, ჯერ საკმარისი არ არის.

განხორციელებულია სამუშაოები საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციისათვის; რესპუბლიკის კიდევ სამმა დასახლებულმა პუნქტმა მიიღო ქსელის გაზი, ხოლო გათხევადებული გაზით ახლა სარგებლობენ 349 დასახლებული პუნქტის მცხოვრებნი. ერთ წელიწადში გაზიფიცირებული ბინების რიცხვი გაიზარდა 62 ათასით, ანუ 30 პროცენტით. სულ გაზიფიცირებულია 270 ათასზე მეტი ბინა, მათ შორის ქსელის გაზით — 150 ათასი ბინა.

შემდგომ წარმატებებს მივაღწიეთ სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

**სხვადასხვა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია მილიონ ასი ათასზე მეტი კაცი.** მარტო ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 928 ათასი კაცი, უმაღლეს სასწავლებლებში — 81 ათასი, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 43 ათასი კაცი.

1966 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ წავიდა **უმაღლესი განათლების მქონე 9 ათასზე მეტი სპეციალისტი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 8 ათასამდე სპეციალისტი.**

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღებულია 30 ათასამდე კაცი, აქედან უმაღლეს სასწავლებლებში 15 ათასზე მეტი კაცი.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებმა და სკოლებმა მოამზადეს და მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაგზავნეს 9.150 ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

100 ათასზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ ახალი პროფესიები შეისწავლა და კვალიფიკაცია აიმაღლა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სკოლებში და კურსებზე.

1966 წლის დამლევისათვის **მეცნიერ მუშაკთა** რიცხვი შეადგენდა 14 ათასზე მეტს. აქედან 717 მეცნიერების დოქტორი, 4 ათასზე მეტი მეცნიერების კანდიდატია.

**კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გააუმჯობესეს მოსახლეობის მომსახურება.** უფრო მეტი ხალხი დადის თეატრებში, კონცერტებზე, კინოში.

გასული წლის დამლევისათვის კულტურის სამინისტროს სისტემაში მუშაობდა 2.594 მასობრივი ბიბლიოთეკა და 1.497 საკლუბო დაწესებულება.

**გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება.** გაიზარდა ყველა სპეციალობის ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხვი, აგრეთვე საწოლების რაოდენობა საავადმყოფოებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებში, ადგილების რაოდენობა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში.

**წინასწარი მონაცემებით, 1967 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს სსრ მოსახლეობა 4.600 ათასზე მეტი კაცი იყო.**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო**

# საბჭოთა მთავრობის განცხადება

(დასასრული)

დროის სულისკვეთებასა და ევროპის ახლანდელ რეალურ პირობებს.

ბევრი რამ მოწმობს, რომ, რა სხვადასხვაგვარი აზრებიც უნდა იყოს წარმოდგენილი ახალ კაბინეტში, იგი არა მარტო თანაგრძნობით იხსენებს თავის წინამორბედებს, არამედ, როგორც ჩანს, საკმაოდაც გადმოულია მათი პოლიტიკის არსი.

ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმისადმი კონსტრუქციული მიდგომა, აცხადებს საბჭოთა მთავრობა, შესაძლებელია მხოლოდ რეალური სინამდვილის საფუძველზე და უწინარეს ყოვლისა იმ ფაქტის ცნობის საფუძველზე, რომ არსებობს ორი გერმანული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ორივე გერმანული სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი მონაწილეობა ღონისძიებებში, რომელთა მიზანია განვითარდეს და განმტკიცდეს ევროპის ქვეყნების თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში, საშუალებას მისცემს მათ მოსახლეობას ევროპის სხვა ხალხებთან ერთად თავისი წვლილი შეიტანოს პროგრესისა და მშვიდობის საქმეში. ორი აღნიშნული სუვერენული სახელმწიფოს გამიჯვნა, რაც ჰიტლერული რაიხის დამხობისა და ხანგრძლივი ომისშემდგომი განვითარების შედეგია, სოციალურ-კლასობრივ საფუძველზე მოხდა, და არავის არ აქვს უფლება შეცვალოს ეს მდგომარეობა.

სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების უცვლელობა და ხელშეუვალობა ევროპის ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. უაზრო და უიმედოა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ზეგავლენისა თუ შანტაჟის ყოველი ცდა, ისევე როგორც სოციალისტურ გერმანულ სახელმწიფოში მტრული შეღწევის გეგმები. მხოლოდ გამოუსწორებელ ავანტიურისტებს შეუძლიათ ჰქონდეთ იმის იმედი, რომ ძალადობით შეცვლიან ევროპის ომისშემდგომ საზღვრებს. იმას, ვინც მოინდომებს გამოსცადოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა საზღვრების სიმტკიცე, გარდუვალად მოელის გამანადგურებელი პასუხი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა კვლავ დაჟინებით ცდილობს ხელთ იგდოს ატომური იარაღი. გადაწყვეტილებანი, რომლებიც ნატომ მიიღო ნატოს ატომური დაგეგმვის ახალ ორგანოთა შექმნის შესახებ, რომლებშიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა უნდა მონაწილეობდეს, დასავლეთგერმანელმა მილიტარისტებმა და რევანშისტებმა მიიჩნიეს თავიანთ ატომურ მისწრაფებათა წაქეზებად. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ პრეტენზიები განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა „განსაკუთრებულ გავლენას“ ახდენს ატომური იარაღის გამოყენების საკითხებზე და ამავე დროს აგრეთვე მოითხოვა შეიქმნას ეგრეთწოდებული „ევროპის ატომური ძალები“ და ამ ძალებში უშუალოდ მონაწილეობდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობს იმით, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოს კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარება, რომლის მიზანია ევროპაში ვითარების გაჯანსაღება და ურთიერთნდობისა და პატივისცემის განვითარება, მშვიდობის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა. საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა ბუქარესტის დეკლარაციაში წამოაყენეს იმ ღონისძიებათა ფართო პროგრამა, რომელთა მიზანია ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება. სსრ კავშირის მთავრობა, რომელიც ამ პროგრამით ხელმძღვანელობს, კვლავაც თანმიმდევრულად და განუხრელად ეცდება, რომ ნამდვილად გაუმჯობესდეს პოლიტიკური კლიმატი ევროპაში, განვითარდეს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა თანამშრომლობა, რასაკვირველია, მათ შორის თანამშრომლობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთანაც. მაგრამ საბჭოთა მთავრობა თვალს ვერ აარიდებს იმ საფრთხეს, რომელსაც ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას უქმნიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნეონაცისტური და მილიტარისტული ძალები.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ წარსულის გაკვეთილებიდან რეალური დასკვნები მარტო გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გამოიტანა. აქ სავსებით განხორციელდა პოტსდამის გადაწყვეტილებანი ნაციზმის აღმოფხვრის, დემილიტარიზაციისა და საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნის შესახებ. სოციალისტურმა გერმანულმა სახელმწიფომ იკისრა კეთილშობილური მისია — ყოველნაირად ეცადოს, რომ გერმანიის მიწაწყალზე არასოდეს აღარ წარმოიშვას ახალი ომის საფრთხე. ამ მისიამ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ნდობა და პატივისცემა მოუხვეჭა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს იმით, რომ ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოები პოტსდამისა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად კვლავაც პასუხისმგებელი არიან იმისათვის, რომ არ დაუშვან გერმანიის მილიტარიზმისა და ნაციზმის აღორძინება. ამ პასუხისმგებლობის დავიწყება ნიშნავს მილიტარიზმისა და ნაციზმის იმ ძალთა წაქეზებას, რომლებიც დღეს ხულ უფრო აქტიურდებიან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

საბჭოთა მთავრობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ძალებისა და მთელი მოსახლეობის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ გზა უნდა გადაუღობონ ნეონაციზმს, ბოლო მოუღონ მილიტარიზაციის პოლიტიკას და ევროპის ყველა სხვა ხალხთან ერთად მთელი ძალღონე მოახმარონ ევროპაში მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას.

საბჭოთა მთავრობა, ხელმძღვანელობს რა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებით, ყურადღებით ადევნებს თვალს ნეოფაშისტურ და მილიტარისტულ ძალთა ხრიკებს და მზად არის პოტსდამისა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად, თუ საჭირო იქნა, სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად განახორციელოს ყველა ღონისძიება, რომლებსაც ვითარება მოითხოვს.

საბჭოთა მთავრობის ეს განცხადება მიმდინარე წლის 28 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მოსკოვის საელჩოებს და თან დაურთო შესაბამისი მოკლე ნოტები.

* * *

საბჭოთა მთავრობის განცხადება გაეგზავნა აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს და თან დაერთო ნოტა, რომელშიც ნათქვამია: საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რათა იმ ვალდებულებათა შესაბამისად, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეკისრება პოტსდამისა და სხვა სამოკავშირეო საერთაშორისო შეთანხმებებით, აღკვეთოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნეონაცისტური და მილიტარისტული ძალების საქმიანობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას.

# საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

**30 იანვარს** გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ი. ლოლაშვილმა.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. გრიგალაშვილი,** ქიმიკური კომბინატის დირექტორი **ვ. ურუშაძე,** ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი **ა. კილენჯერიძე,** კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშა **პ. ტენიშჩევი,** მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის სახელობის რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. კორშია,** ძველი ბოლშევიკი **დ. ლომაძე,** კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. გაბუნია,** მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს უფროსი **ნ. ბიბილეიშვილი,** თბილგვირაბმშენის სამმართველოს უფროსი **ვ. გოცირიძე,** სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტის დირექტორი **ვ. მელქაძე,** მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი **გ. აფხაძე.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა დასახა ღონისძიებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ. (საქინფორმი).

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ**

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

თბილისი. 1967 წლის 30 იანვარი.

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. რ. გ. ლეიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. რობერტ გიორგის-ძე **ლეიაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

თბილისი. 1967 წლის 30 იანვარი.

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. სიმონ სევერიანეს-ძე **ლორთქიფანიძე** საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

თბილისი. 1967 წლის 30 იანვარი.

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. სიმონ სევერიანეს-ძე **ლორთქიფანიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

თბილისი. 1967 წლის 30 იანვარი.

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ი. ს. ჩიაევის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. იოსებ სიმონის-ძე **ჩიაევი** საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

თბილისი. 1967 წლის 30 იანვარი.

# შეხვედრები იტალიაში

☐ ნ. ვ. პოდგორნი ტარანტოში ☐ სტუმრად იტალიელ მეტალურგებთან ☐ ნ. ვ. პოდგორნი ნეაპოლში ☐ ნ. ვ. პოდგორნი რომში დაბრუნდა ☐ ნ. ვ. პოდგორნი შეხვდა „იტალია-სსრ კავშირის" საზოგადოების წარმომადგენლებს ☐ სადილი იტალიის პრეზიდენტთან.

**ტარანტო**, 28 იანვარი. (საკდესი). ვეჩერით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი გააცილა მეგობრულ საზეიმო კორტეჟით, რომლებიც კატარღების კოლონას მიჰყვებოდნენ, აეროპორტში ჩამწკრივებული საპატიო სამხედრო ყარაულით.

აი უკვე მეორე საზღვაო ნავსადგური — სამხრეთ იტალიის ქალაქი ტარანტო. ...საჰაერო ხომალდი „კარაველა" მივიდა საბჭოთა კავშირისა და იტალიის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროვაგზლის შენობასთან. ახლოს მოედანზე ჩამწკრივებულია სამხედრო მეზღვაურთა საპატიო ყარაული. ნ. ვ. პოდგორნის ხვდებიან საწარმოებში სახელმწიფო მონაწილეობის საქმეთა მინისტრი ჯორჯ ბო და სხვა ოფიციალური პირები. ქალაქის ქუჩებში საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს გულითადად მიესალმებიან მცხოვრებნი.

ქალაქ ტარანტოს მერმა ანჯელო კურჩიმ საუზმე გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პატივსაცემად. ქალაქის მერმა ანჯელო კურჩიმ და ნ. ვ. პოდგორნიმ სიტყვები წარმოთქვეს.

მერმა ტარანტოელთა სახელით იმედი გამოთქვა, რომ ამ ქალაქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვიზიტი კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირისა და იტალიის ურთიერთობას.

დარწმუნებული ვარ, თქვა მერმა, რომ საბჭოთა კავშირისა და იტალიის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება, რითაც ხელს შეუწყობს ჩვენს ხალხებს ერთმანეთის უკეთ გაცნობაში, შეამცირებს ჩვენს ქვეყნებს შორის მანძილს და ახალ დიდ წვლილს შეიტანს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

შემდეგ გამოვიდა ნ. ვ. პოდგორნი. მან მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ მიიწვიეს ქალაქში, რომელიც ცნობილია არა მარტო თავისი ანტიკური კულტურის ძეგლებით, არამედ როგორც სამხრეთ იტალიის უდიდესი სამრეწველო ცენტრი, როგორც მეტალურგთა და გემთმშენებელთა ქალაქი.

ჩვენთვის გასაგებია, რატომ ცდილობს იტალია ლითონის წარმოების გაფართოებას, განაცხადა ნ. ვ. პოდგორნიმ. ერთ დროს ჩვენშიც, საბჭოთა კავშირში, ბევრი ძალა და ენერგია მოვახმარეთ თანამედროვე მეტალურგიული მრეწველობის შექმნას. უამისოდ, არსებითად, შეუძლებელია ბევრი სხვა სახეობის წარმოების განვითარება, იგი ეკონომიკის ძირითადი დარგების ბაზაა.

თუ ახლა ჩვენი ქვეყანა წელიწადში უკვე ას მილიონ ტონამდე ფოლადს აღნობს, ეს საბჭოთა მეტალურგების, მთელი მუშათა კლასის დიდი და თავდადებული შრომის შედეგია.

ისევე, როგორც წინათ საბჭოთა კავშირი იმას მომხრეა, რომ ყოველნაირად განვითარდეს და გაფართოვდეს საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობა. შეგვიძლია კმაყოფილებით ვთქვათ, რომ ამ დარგში საბჭოთა კავშირისა და იტალიის ურთიერთობა უკანასკნელ ხანებში საგრძნობ წარმატებით ვითარდება. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ქალაქ ტარანტოსაც, აქაურ მეტალურგიულ კომბინატ „იტალსიდერს".

იტალიაში ყოფნის პერიოდში, სახელმწიფო მოღვაწეებთან და მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს, აღნიშნა ნ. ვ. პოდგორნიმ, ჩვენ კვლავ დავრწმუნდით, რომ იტალიელ ხალხსაც აფიქრებს მშვიდობის ბედი.

იგი გულგრილი როდია გმირი ვიეტნამელი ხალხის ბედისადმი, რომელიც სამართლიან ბრძოლას ეწევა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. იტალიელი ხალხისათვის სულ ერთი როდია, რომ მილიტარიზმისა და რევანშიზმის ძალები სულ უფრო აძლიერებენ საფრთხეს ევროპაში. იტალიას არ სურს, რომ ატომური და სხვა იარაღი კვლავ გამოიყენონ მსოფლიოში სადავო საკითხების გადასაწყვეტად.

ყველაფერი ეს სავსებით გასაგებია საბჭოთა ადამიანებისათვის — მშვიდობის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკის თავდადებული მომხრეებისათვის.

ჩვენი სიმპათიები და მხარდაჭერა იმათ მხარეზეა, ვინც იბრძვის იმისათვის, რომ განთავისუფლდეს კოლონიალიზმისაგან, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს იგი, იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის გაგებით მოეკიდება და მტკიცედ დაუჭერს მხარს იტალიის აქტიურ პოლიტიკას, რომლის მიზანი იქნება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრა.

ნ. ვ. პოდგორნიმ წარმოთქვა საბჭოთა კავშირისა და იტალიის თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცების სადღეგრძელო, ბედნიერება და კეთილდღეობა უსურვა ტარანტოელებს.

**ტარანტო**, 28 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი დღეს ეწვია ტარანტოს დიდ მეტალურგიულ ქარხანა „იტალსიდერს", რომელიც სიდიდით მეოთხეა იტალიაში.

**ნეაპოლი**, 30 იანვარი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ა. კრასიკოვი და ბ. ლუკიანოვი გვატყობინებენ:

მეშვიდე დღეა იტალიაში სტუმრად არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც აქ სახელმწიფო ვიზიტით ჩამოვიდა. გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო ნეაპოლსა და მის მიდამოებში. ამით დამთავრდა ნ. ვ. პოდგორნის მოგზაურობა იტალიაში, იტალიის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დასკვნითი ეტაპის წინ.

ნეაპოლი იტალიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია. ეს არის დიდი ნავსადგური (მგზავრების რიცხვით პირველი იტალიაში), სამხრეთ იტალიის სამრეწველო, სავაჭრო-ფინანსური და სატრანსპორტო ცენტრი. ამ ბოლო წლებში იტალიისათვის განკუთვნილი საბჭოთა ტვირთების მნიშვნელოვანი ნაწილი ნეაპოლის ნავსადგურში შედის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ნეაპოლის მუნიციპალურმა საბჭომ ქალაქი მორთო ალმებითა და პლაკატებით, რომლებშიც გამოთქმულია დიდი კმაყოფილება სსრ კავშირისა და იტალიის ურთიერთობის პოზიტიური განვითარების გამო.

ნეაპოლის მუნიციპალიტეტმა საბჭოთა სტუმრებს გააცნო მსოფლიო კულტურის საგანძური, რომელიც ნეაპოლშია დაცული.

საბჭოთა სტუმრები იყვნენ „კაპოდიმონტეს" მუზეუმში, რომლის ექსპოზიცია დამსახურებულად განთქმულია მთელ მსოფლიოში, შემდეგ კი გაეცნენ პომპეის არქეოლოგიური გათხრების შედეგებს.

სორენტოს მახლობლად, დაბა ვიეტრიში გამართული საუზმის შემდეგ, რომლის დროს სტუმრების წინაშე გამოვიდა მოცეკვავეთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი, რომელმაც შეასრულა ცნობილი სორენტოს ტარანტელა, ნ. ვ. პოდგორნი და მისი თანმხლები პირნი „მზის ავტოსტრადით" გაემგზავრნენ რომში.

**რომი**, 30 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც იტალიაში სახელმწიფო ვიზიტით იმყოფება, გუშინ რომში დაბრუნდა იტალიაში მოგზაურობის შემდეგ.

**რომი**, 30 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით კვირინალის სასახლეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო „იტალია-სსრ კავშირის" საზოგადოების წარმომადგენლები.

**რომი**, 30 იანვარი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტი). იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯ. სარაგატმა გუშინ საღამოს სადილი გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მორო, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ფანფანი. საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი და ნ. ვ. პოდგორნის სხვა თანმხლები პირნი.

## ნ. ვ. პოდგორნი შეხვდა პავლე VI-ს

**30 იანვარს** ვატიკანში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი შეხვდა პაპ პავლე VI-ს. (საკდესი).

## დამთავრდა ნ. ვ. პოდგორნისა და სარაგატის მოლაპარაკება

**რომი**, 30 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს კვირინალის სასახლეში გაიმართა მოლაპარაკება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნისა და იტალიის პრეზიდენტს ჯ. სარაგატს შორის. ამ მოლაპარაკების მსვლელობაში დამთავრეს აზრთა გაზიარება საკითხთა ფართო წრის გამო, რომლებსაც შეეხნენ წინა შეხვედრებისა და საუბრების დროს.

შეათანხმეს საბჭოთა კავშირ-იტალიის დასკვნითი კომუნიკე.

მოლაპარაკებაში, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ნ. ს. რიჟოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე მ. რ. კუზმინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ა. ტრაპეზნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები ა. გ. კოვალიოვი, ლ. მ. ზამიატინი.

იტალიის მხრივ მონაწილეობდნენ: იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მორო, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ფანფანი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ე. ორტონა, იტალიის ელჩი სსრ კავშირში ფ. ხენსი, იტალიის პრეზიდენტის დიპლომატიური მრჩეველი ფ. მალფატი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დიპლომატიური მრჩეველი დ. პომპეი, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიურ საკითხთა გენერალური დირექტორი ვ. სორო, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის გენერალური დირექტორი რ. გაია.

• • •

**რომი**, 30 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯ. სარაგატის მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ კვირინალის სასახლეში გაიმართა იტალიაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვიზიტის ოფიციალური ნაწილის დამთავრების საზეიმო ცერემონია.

ცერემონიის დროს შესრულდა საბჭოთა კავშირისა და იტალიის სახელმწიფო ჰიმნები, ჩამწკრივდა იტალიის პრეზიდენტის კირასირთა საპატიო ყარაული. ნ. ვ. პოდგორნიმ და ჯ. სარაგატმა მიიღეს საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი და რესპუბლიკის პრეზიდენტის სამხედრო მრჩევლის თანხლებით ჩამოუარეს გვარდიელ-კირასირთა მწკრივს.

ნ. ვ. პოდგორნი დაემშვიდობა პრეზიდენტ ჯ. სარაგატს და პრეზიდენტის მანქანით აბამელეკის ვილაში გაემართა.

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

**სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 29 იანვარს შემდეგი შინაარსის ნოტა გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სსრ კავშირში.**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს უცხადებს შემდეგს:

მიმდინარე წლის 26 იანვარს საბჭოთა კავშირის პეკინის საელჩოს წინააღმდეგ კვლავ დაიწყო ჩინელ მოქალაქეთა ორგანიზებული ჯგუფების ანტისაბჭოთა პროვოკაციული მოქმედება. სსრ კავშირის საელჩოსა და მთავრობის მიმართ ისმის უხეში გინება, ცილისწამება, მტრული წამოძახილები და მუქარა. მოთარეშე ბრბოებმა შეკრეს საელჩოს ტერიტორიისკენ მიმავალი გზები, ხელს უშლიან სამსახურებრივი ავტომანქანების მიმოსვლას, საღებავით თხუპნიან, ჯოხებს ურტყამენ, აზიანებენ მათ. გათავხედებული ხულიგნები საბჭოთა ადამიანებს არ აძლევენ საელჩოს ჭიშკრიდან გამოსვლის, ხოლო იქ მიმსვლელსაც, მის ტერიტორიაზე შესვლის შესაძლებლობას. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ საელჩოს საშუალება არა აქვს ნორმალურად მუშაობდეს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1966 წლის 26 აგვისტოს და 27 ოქტომბრის ნოტებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსადმი უკვე აღნიშნული იყო ის გარემოება, რომ ასეთი ველური გამოხდომები, რომლებსაც აშკარად პროვოკაციული ხასიათი აქვს, წინასწარი განზრახვით ხორციელდება, და ეს არა მარტო იციან ჩინეთის ხელისუფლებმა, არამედ კიდევაც აქეზებენ ამ გამოხდომებს. ფაქტები ცხადყოფენ, რომ ანტისაბჭოთა დემონსტრაციები პეკინის საელჩოსთან სისტემად გადაიქცა, მათ სპეციალურად გეგმავენ, რათა კიდევ უფრო გაართულონ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა. კერძოდ, ამას ადასტურებს ისიც, რომ უწესრიგობას, რომელიც 26 იანვარს დაიწყო პეკინში, წინ უძღოდა ჩინელ მოქალაქეთა დიდი ჯგუფის პროვოკაციული მოქმედება მოსკოვის წითელ მოედანზე, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩომ 25 იანვარს მოაწყო.

არავის არ ეპარება ეჭვი, რომ აღვირახსნილობას, რაც პეკინში საბჭოთა საელჩოსთან ხდება ამ ბოლო დღეებში, არა მარტო აქეზებენ, არამედ კიდევაც წარმართავენ ჩინეთის ხელისუფალნი.

საბჭოთა მთავრობის დავალებით საგარეო საქმეთა სამინისტრო ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მტკიცე პროტესტს აცხადებს და მოელის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო დაუყოვნებლივ გადასცემს დანიშნულებისამებრ საბჭოთა მთავრობის მოთხოვნას, რომ საბჭოთა კავშირის საელჩო დაიცვან მტრული დემონსტრაციებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან მის ნორმალურ საქმიანობას და საფრთხეს უქმნიან საელჩოს პერსონალის პირად უშიშროებას. საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრეთვე მტკიცედ მოითხოვს, რომ აანაზღაურონ მატერიალური ზარალი, რომელიც საელჩოს ქონებას მიაყენა ხულიგანთა მოქმედებამ.

საბჭოთა მხარე იტოვებს უფლებას განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთის ხელისუფალნი არ შექმნიან ნორმალურ პირობებს საბჭოთა წარმომადგენლობის საქმიანობისათვის.

# საერთაშორისო ცხოვრება

## დროული გაფრთხილება

**ბერლინი**, 30 იანვარი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ჰერბერტ ვარნკემ, რომელიც გამოვიდა ებერსვალდში, აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის განცხადება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ დროული გაფრთხილებაა ევროპის სახელმწიფოთა ხალხებისა და მთავრობებისადმი, რომ მშვიდობას საფრთხეს უქმნის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

საბჭოთა მთავრობის განცხადება დიდი მხარდაჭერაა ჩვენთვის, აღნიშნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ერიჰ მიუკენბერგერმა, რომელიც ბერნაუში გამოვიდა.

ამჟამად მთავარი ამოცანა ის არის, განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა ვერნერ იაროვინსკიმ საგარეო ვაჭრობის მუშაკთა პარტიულ კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში, რომ ყოველმხრივ განვამტკიცოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და კიდევ უფრო მჭიდროდ შევუკავშირდეთ საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს.

აღნიშნა რა, რომ მხარს უჭერს განცხადებას, გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბერნაუს რაიონული ორგანიზაციის მდივანმა გერმან ეგლერმა განაცხადა, რომ უიმედოა ბონის ცდა განახორციელოს რევანშისტული გეგმები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. „ჩვენთვის არსებობს მხოლოდ ერთი გზა — სოციალიზმის გზა", — ხაზი გაუსვა გ. ეგლერმა.

◆

## საკვირაო საუბარი

**ბერლინი**, 30 იანვარი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ტრადიციული საკვირაო საუბარი გერმანიის რადიოთი. საუბარში, კერძოდ, მონაწილეობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე, გერმანია—საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ი. დიკმანი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. აბუში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. გეტინგი.

მათ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს დიდ ოქტომბერს და რა უდიდესი გავლენა მოახდინა მან მთელი მსოფლიოს ხალხების, მათ შორის გერმანელი ხალხის ბედზე.

ორატორები შეეხნენ დასავლეთ გერმანიის მდგომარეობას და აღნიშნეს, რომ საჭიროა ბრძოლა დასავლეთგერმანელ რევანშისტთა პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს.

# ბოლო მოეღოს ბარბაროსულ ომს!

**ბუდაპეშტი.** ძალღონეს არ დავიშურებთ, რათა დავეხმაროთ მებრძოლ ვიეტნამელ ხალხს, განაცხადა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბელა ბისკუმ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესიაზე.

**ბერლინი.** „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა მტკიცედ უჭერს მხარს გმირ ვიეტნამელ ხალხს", — განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებთან შეხვედრაზე.

გერმანიის ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტმა კ. ვოლფმა ილაპარაკა აკადემიის ინიციატივაზე, რომელმაც მოუწოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურისა და მეცნიერების ყველა მუშაკს გააძლიერონ მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის მოძრაობა.

**სტოკჰოლმი.** „მსოფლიო საზოგადოებრიობის, მათ შორის შვეციის სულ უფრო ფართო წრეები მოითხოვენ ომის შეწყვეტას ვიეტნამში, — განაცხადა შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტ. ნილსონმა რიქსდაგში.—ჩვენ შვეციაში ყურადღებით ვადევნებთ თვალს მოვლენების განვითარებას ამ ქვეყანაში, და თუ გაირკვევა, რომ რაიმე გზით შეგვიძლია წვლილი შევიტანოთ ვიეტნამის მშვიდობის მიღწევის საქმეში, უყოყმანოდ გავაკეთებთ ამას".

**ნიუ-იორკი.** ფოტოსურათზე, რომელსაც „ნიუ-იორკ ტაიმსის" ნახევარი გვერდი უკავია, გამოსახულია ვიეტნამელი ქალი. მას ხელში უჭირავს ნაპალმით დამწვარი ბავშვი. ფოტოსურათის ქვეშ წარწერაა: „რა დავბომბეთ დღეს ვიეტნამში"? ასე იწყება განცხადება ორგანიზაციისა „ქალებო, იბრძოლეთ მშვიდობისათვის". განცხადება შეიცავს მოწოდებას შეწყდეს ამერიკის აგრესია ვიეტნამში. ჩვენ, ქალები, ნათქვამია განცხადებაში, ვიმოქმედებთ, რათა ბოლო მოეღოს ბარბაროსულ ომს. მოვუწოდებთ ყველა ქალს განუცხადონ პენტაგონსა და კონგრესს: შეწყვიტეთ ვიეტნამის ბარბაროსული დაბომბვა... შეწყვიტეთ ჩვენი ფულების გამოყენება ბავშვების დასაწვავად და სოფლების დასანგრევად. შეწყვიტეთ ჩვენი შვილების ხოცვა და ნუ აიძულებთ მათ გახდნენ მკვლელები. შეწყვიტეთ ამორალური ომი ვიეტნამში.

განცხადება შეიცავს მოწოდებას ყველა ამერიკელი ქალისადმი, რომ მიმდინარე წლის 8 თებერვალს მოაწყონ ლაშქრობა ვაშინგტონში ვიეტნამის ომის შეწყვეტის შესახებ მოთხოვნათა მხარდასაჭერად.

**კანბერა.** ახლა ბრისბენში მიმდინარეობს ავსტრალიის უდიდესი პროფკავშირის — ავსტრალიის მუშათა კავშირის ყრილობა. ყრილობის დელეგატებმა გადაჭრით დაგმეს ავსტრალიის მთავრობის აგრესიული საგარეოპოლიტიკური კურსი. მიღებული რეზოლუცია შეიცავს მოთხოვნებს შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა და ავსტრალიამ თავისი ჯარები გამოიყვანოს ვიეტნამიდან. (საკდესი).



ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამას წინათ იყო ამერიკელ ქალთა ჯგუფი. მათ ნახეს ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის ბარბაროსული თავდასხმების შედეგები, გაეცნენ ქალაქებისა და სოფლების ცხოვრებას. **სურათზე**: დელეგაციის წევრები დაბომბვის მსხვერპლთა ძეგლთან სოფელ ფუხაში ჰანოის მახლობლად.

ფოტო ვია-საკდესისა.

## ესკალაცია გრძელდება

**ნიუ-იორკი**, 30 იანვარი. (საკდესი). დღეს სამხრეთ ვიეტნამში ჩავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მეცხრე ქვეითი დივიზიის უკანასკნელი ქვეგანაყოფები. ამრიგად, ამერიკის ჯარების საერთო რიცხვი ვიეტნამში ამჟამად შეადგენს 404 ათას კაცს. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო საიგონიდან.

## მენესკუ ბონში ჩავიდა

**ბონი**, 30 იანვარი. (საკდესი). დღეს ბონში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მენესკუ.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მენესკუს ყოფნის პროგრამა ითვალისწინებს მოლაპარაკებას საგარეო საქმეთა მინისტრ ბრანდტთან. იგი შეხვდება აგრეთვე კანცლერ კიზინგერს და იმოგზაურებს დასავლეთ გერმანიაში.

## ურხო კეკონენი ბულგარეთში

**სოფია**, 30 იანვარი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის გიორგი ტრაიკოვის მიწვევით დღეს სოფიაში არაოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ფინეთის პრეზიდენტი ურხო კეკონენი.

## რობერტ კენედი პარიზში

**პარიზი**, 30 იანვარი. (საკდესი). გუშინ ინგლისიდან პარიზს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი იუსტიციის მინისტრი სენატორი რობერტ კენედი. რობერტ კენედი შეხვდება პრეზიდენტ დე გოლს და საფრანგეთის მთელ რიგ სხვა სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს.

## იაპონიის პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგები

**ტოკიო**, 30 იანვარი. (საკდესი). აქ გამოირკვა იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის გუშინდელი არჩევნების საბოლოო შედეგები. მმართველმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ პალატაში მიიღო 277 ადგილი, სოციალისტურმა პარტიამ — 140, დემოკრატიული სოციალიზმის პარტიამ — 30, კომუნისტებმა — 5, კომეიტოს პარტიამ — 25, დამოუკიდებლებმა — 9 ადგილი.

## ამერიკის შეერთებული შტატების სენატის კომისიის ცნობა

**ვაშინგტონი.** სენატის აერონავტიკისა და კოსმოსის კვლევის კომისია მოაწყობს სამი ამერიკელი კოსმონავტის ტრაგიკული დაღუპვის მიზეზების „სრულ გამოძიებას". გამოაცხადა რა ეს გადაწყვეტილება, კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა კლინტონ ანდერსონმა აღნიშნა, რომ სენატის კომისია მუშაობას დაიწყებს მას შემდეგ, რაც დამთავრდება გამოძიება, რომელსაც ახლა სპეციალური ჯგუფი აწარმოებს.

## ძლიერი ქარბუქის მსხვერპლნი

**ნიუ-იორკი.** უმაგალითო ძალის ქარბუქმა გადაუარა ამერიკის შეერთებულ შტატებს. არის მსხვერპლი. ილინოისის შტატში დაიღუპა 37 კაცი, მიჩიგანში — 10, ვისკონსინში — 5 და ინდიანის შტატში 3 კაცი. ამას იუწყება ჩიკაგოდან ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

ამინდის ბიუროს მიაჩნია, რომ ეს „ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ქარბუქი იყო საუკუნის განმავლობაში". თოვლის სიღრმე ჩიკაგოში თითქმის 60 სანტიმეტრს აღწევს. ქალაქის ხელისუფლებამ გამოიანგარიშეს, რომ ქარბუქმა ქალაქს 85 მილიონი დოლარი ზარალი მიაყენა.

# ჩინეთის ამბების გამო

**ჩინეთიდან** მიღებული ცნობებით, ხუნვეიბინებისა და „ძაოფანების" („მეამბოხეების ანუ „შფოთის ამტეხების") რაზმების დასახმარებლად გაგზავნეს რეგულარული ჯარის ნაწილები. როგორც თვით ჩინეთის პრესა აღიარებს, არმიის ჩარევა ამ ამბებში გამოწვეულია იმით, რომ ხუნვეიბინთა და ძაოფანთა მოქმედება, რომლებიც არბევენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და პარტიულ კომიტეტებს, აწყდება ქალაქისა და სოფლის მშრომელთა სერიოზულ წინააღმდეგობას.

როგორც ვიუწყებოდით, შანსისა და ხებეის პროვინციებში ჯარის ნაწილები დაეხმარნენ ხუნვეიბინებსა და ძაოფანებს მუშებთან და გლეხებთან შეტაკების დროს, რომლებიც ადგილობრივი პარტიული კომიტეტების დასაცავად გამოვიდნენ.

სინხუას სააგენტომ გადმოსცა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ერთ-ერთ დიდ ქალაქ ხარბინში ასეთი შეტაკების დროს „სახალხო განმათავისუფლებელი არმიის გარნიზონის 6-ის ნაწილმა დიდი დახმარება გაუწია „ძაოფანებს" და „გაუსწორდა" მათს მოწინააღმდეგეებს.

პეკინის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაში გაკრულია „დაძი ბაო" — ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო კომიტეტისა და „კულტურული რევოლუციის" საქმეთა ჯგუფის დადგენილების ტექსტი. დადგენილებაში ნათქვამია, რომ „თავმჯდომარე მაოს ხელმძღვანელობით დაიწყო დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუციის ახალი ეტაპი", რომ „ხელისუფლებისათვის ბრძოლაში" არმიამ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი რევოლუციურ მემარცხენე ძალებს", „თავმჯდომარე მაოს მითითებათა შესაბამისად". დადგენილებით გაუქმებულია „ყველა წინა მითითებანი იმის შესახებ, რომ არმია არ ჩაერიოს დიდ კულტურულ რევოლუციაში ადგილებზე", რომლებიც ეწინააღმდეგება ამ დადგენილების სულისკვეთებას. (საკდესი, 28 იანვარი).

## მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პეკინის საელჩოს პროტესტი

**ულან-ბატორი.** როგორც მონცამეს სააგენტო იუწყება, ა. წ. 26 იანვარს ჩინელმა ხუნვეიბინებმა უკანონოდ დააკავეს პეკინში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიური ავტომანქანა. მათ მიმართეს ხულიგნურ მოქმედებას, მუშტებს ურტყამდნენ მინებზე, შავი საღებავით გათხუპნეს მანქანა. 27 იანვარს ჩინელთა ჯგუფმა, რომელიც მანქანებით მიადგა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, მოახდინა მორიგი ხულიგნური გამოხდომები, რაც სრულიად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ხუნვეიბინთა ამ აღმაშფოთებელი მოქმედების გამო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პეკინის საელჩომ 28 იანვარს პროტესტი განუცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

„ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ხუნვეიბინთა ზემოხსენებული მოქმედების გამო და მიგვაჩნია, რომ ეს არის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია; მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ხელშეუხებლობის თავხედური დარღვევის აქტი", — ნათქვამია პროტესტში.

## „ხუნვეიბინები" სამსახურს უწევენ ბურჟუაზიულ პროპაგანდას

**ტოკიო**, 28 იანვარი. (საკდესი). ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია წინასაარჩევნო კამპანიაში იყენებს ჩინეთის ამბებს და, კერძოდ, „ხუნვეიბინთა" თარეშს, რათა თავს დაესხას იაპონიის კომპარტიას და სახელი გაუტეხოს კომუნიზმის იდეებს. ამასთან დაკავშირებით იაპონიის კომუნისტური პარტიის ორგანომ გაზეთმა „აკახატამ" დღეს გამოაქვეყნა კულტურის ცნობილ მოღვაწეთა მთელი რიგი გამონათქვამები, რომლებიც უარყოფენ ბურჟუაზიული პროპაგანდის ცდებს დაუკავშირონ ჩინეთის ეგრეთწოდებული კულტურული რევოლუცია მარქსიზმ-ლენინიზმს.

ცნობილმა მსახიობმა კატაბაიასიმ განაცხადა, რომ „ხუნვეიბინთა" მოქმედებამ და, კერძოდ, ჩინეთის თვალსაჩინო მოღვაწეთა დარბევამ და სამარცხვინო გასამართლებამ „საშინელი შთაბეჭდილება მოახდინეს მასზე და ყველა იაპონელზე. მწერალმა კაცურამ თავის განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ სოციალისტური წყობილების თვით ბუნებაში ჩაქსოვილია ზრუნვა ადამიანისათვის და ამ თვალსაზრისით დაგმო „ხუნვეიბინთა" მოქმედება.

ფილოსოფოსმა იანაგიდამ თქვა, „ლაპარაკიც არ შეიძლება იმის შესახებ, რომ იაპონელმა ხალხმა მოიწონოს „ხუნვეიბინთა" მოძრაობა".

## ანტისაბჭოთა გამოხდომები პეკინში

**პეკინიდან** მიღებული უკანასკნელი ცნობების თანახმად, საბჭოთა საელჩოს შენობის წინ სამი დღეა გრძელდება ხუნვეიბინთა აღვირახსნილობა. განუწყვეტლივ გაისმის რეპროდუქტორებით გაძლიერებული, ხრინწიანი, მყვირალა მოწოდებანი გაუსწორდნენ საბჭოთა მოქალაქეებს. საელჩოს წინ განუწყვეტელ ნაკადად მოედინება „წითელ დამცველთა", „შფოთის თავთა" და სხვა თავაწყვეტილ ელემენტთა ბრბოები, რომლებიც ორგანიზებულად მოდიან ქალაქის სხვადასხვა რაიონიდან. ბევრი ხუნვეიბინი ძვრება საელჩოს ჭიშკარზე. ჰკიდებს შეურაცხმყოფელ წარწერებს. ჭიშკართან ხშირად აჩაღებენ კოცონს. თუ საელჩოს რომელიმე თანამშრომელი ცხაურთან გამოჩნდება, ხულიგნები სხვადასხვა საგანს ესვრიან.

ანტისაბჭოთა კამპანიაში აქტიურად მონაწილეობს ჩინეთის პრესა, რომლის გვერდები აჭრელებულია ღვარძლიანი გამოხდომებითა და მუქარით სსრ კავშირისა და მისი კომუნისტური პარტიის მიმართ.

(საკდესი, 29 იანვარი).

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

**თამარ ფილიპეს ასული მანაგაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

**საქართველოს** სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის თ. ფ. მანაგაძის დაკრძალვის მოსაწყობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები გ. ვ. სიხარულიძე (თავმჯდომარე), ვ. დ. ღოღობერიძე, რ. ვ. შანიძე, ნ. ა. ქვანია და რ. ვ. მეტრეველი.

## თ. ფ. მანაგაძის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

**სამოქალაქო** პანაშვიდი გაიმართება განსვენებულის ბინაზე (კამოს ქუჩა № 2 (31 იანვარს) და 1 თებერვალს საღამოს 7 საათზე.

გამოსვენება 2 თებერვალს დღის 4 საათზე ქალაქ თბილისის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის შენობიდან (რუსთაველის პროსპექტი № 48).

# აფეთქებანი იუგოსლავიის საელჩოებსა და საკონსულოებში

**ვაშინგტონი**, 29 იანვარს დილით ვაშინგტონში იუგოსლავიის საელჩოს შენობასთან აფეთქდა ბომბი. ამავე დროს ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოსა და ჩიკაგოში აფეთქებები მოხდა იუგოსლავიის საკონსულოთა შენობებში.

ამ აფეთქებების შედეგად შენობები დიდად დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

**ოტავა.** 29 იანვარს ტერორისტებმა აფეთქებები მოახდინეს იუგოსლავიის ოტავის საელჩოში და ტორონტოს საკონსულოში, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო. აფეთქების შედეგად სერიოზულად დაზიანებულია ორივე შენობა, განსაკუთრებით საკონსულოს შენობა, სადაც დანგრეულია მთელი კედელი. პოლიციამ საკონსულოს შენობაში აღმოაჩინა დინამიტი. მსხვერპლი არ ყოფილა.

**ნიუ-იორკი.** როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, იუგოსლავიის ვაშინგტონის საელჩოს შენობა სერიოზულად დაზიანდა, ჩალეწილია 30-ზე მეტი ფანჯრის მინები და დანგრეულია შენობის კედელი.

## იუგოსლავიის ვაშინგტონის საელჩოს განცხადება

**29 იანვარს** დილაადრიან ამერიკის შეერთებულ შტატებში იუგოსლავიის ზოგიერთი დიპლომატიური და საკონსულო მისიის წინააღმდეგ მოეწყო ტერორისტული აქტები. ეს დიპლომატიური და საკონსულო მისიებია: ვაშინგტონის საელჩო, სან-ფრანცისკოს, ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს გენერალური საკონსულოები. აფეთქებანი ისეთი ძალის იყო, რომ მეზობელ სახლებში ჩაიმსხვრა ფანჯრის მინები და მხოლოდ შემთხვევითი ამბავია, რომ არავინ არ დაშავებულა. შენობები სერიოზულად დაზიანდა. ამასთან დაკავშირებით გუშინ იუგოსლავიის ვაშინგტონის საელჩომ განცხადება გაავრცელა.

საელჩოს განცხადებაში ნათქვამია: ის, რომ ასეთი ტერორისტული თავდასხმები ერთსა და იმავე დროს მოხდა, მოწმობს, რომ საქმე გვაქვს ორგანიზებულ აქციებთან იუგოსლავიის დიპლომატიურ და საკონსულო მისიათა წინააღმდეგ. რამდენიმე წლის განმავლობაში ასეთ დანაშაულებს სჩადიოდა სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაცია, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში არის. ეს ელემენტები არიან მოღალატენი, რომლებიც ჰიტლერული არმიის დამარცხების შემდეგ 1945 წელს გამოიქცნენ იუგოსლავიიდან და მას შემდეგ დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევიან ჩვენი მისიების წინააღმდეგ.

სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა იუგოსლავიის ელჩს ვაშინგტონში ვ. მიჩუნოვიჩს განუცხადა, რომ სინანულს გამოთქვამს შეერთებულ შტატებში იუგოსლავიის ექვსი დიპლომატიური წარმომადგენლობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების გამო.

## კრება „მიუტიუალიტეს" დარბაზში

**პარიზი**, 30 იანვარი. (საკდესი). გუშინ მიუტიუალიტეს დარბაზში გაიმართა დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციის პირველი საერთო ეროვნული კონფერენცია. ამ კონფერენციით ფედერაციაში შემავალმა ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიებმა (სოციალისტურმა პარტიამ, რადიკალთა პარტიამ და რესპუბლიკურ ინსტიტუტთა კონვენტმა) ოფიციალურად დაიწყეს ეროვნული კრების საარჩევნო კამპანია. არჩევნები გაიმართება მიმდინარე წლის მარტში.

კონფერენციაზე გამოვიდნენ ფრანსუა მიტერანი, რენე ბიიერი და გი მოლე, რომლებმაც ხაზი გაუსვეს მემარცხენე ძალების გაერთიანების მნიშვნელობას და განაცხადეს, რომ მტკიცედ იბრძოლებენ, რათა ბოლომდე მიიყვანონ საფრანგეთში ახალი დემოკრატიული რეჟიმის დამყარების საქმე.

## ბრძოლა კეთრის წინააღმდეგ

**ბანგი.** ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკამ 29 იანვარს აღნიშნა კეთრის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე.

53.000 კეთროვანი — ასეთია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის კოლონიური წარსულის ერთ-ერთი ყველაზე სავალალო მემკვიდრეობა. და ეს არის ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა მხოლოდ 2 მილიონ კაცს შეადგენს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რესპუბლიკაში გაიშალა ნამდვილი ლაშქრობა ამ საშინელი ავადმყოფობის წინააღმდეგ. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად დაავადებათა რიცხვის ზრდა შეაჩერეს. ამ ავადმყოფობის სრულ აღმოფხვრას კი აფერხებს მატერიალური სახსრებისა და კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა.



სურათზე: გეგეჭკორის რაიონის ტურისტთა ერთი ჯგუფი თბილისში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# თბილისს ეცნობიან გეგეჭკორელები

## სახელოვნად შევხვდებით

ვამაყობთ იმით, რომ ჩვენთან ერთად დედაქალაქის სტუმრები არიან გეგეჭკორის რაიონის მკვიდრი ძველი ბოლშევიკები. აი ზოგიერთი მათგანი. სოფელ კურზუს მცხოვრები ირაკლი ლაშხია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1918 წლიდან. იგი საშა გეგეჭკორთან ერთად ლეგენდარული ლაშქრობის აქტიური მონაწილეა. ძველ ბოლშევიკთა რიგებს ამშვენებენ გეგეჭკორელები სტეფანე ფარულავა, პეტრე წოწორია, მოსე და მაკარი გვილავები, ტერენტი ძაძამია, სევასტი სურმავა და სხვები.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის პირველი გმირი საქართველოდან მიხეილ გახოკიძე ჩვენი რაიონის მკვიდრია. გვყავს გმირი დედა სოციალისტური შრომის გმირი მარგო ჩიქვანაია, სოციალისტური შრომის გმირი ლევან კობახიძე, ლენა ოდიშარია, ლენა ფირთურია და სხვები.

29 იანვარს დედაქალაქში ტურისტულ-თეატრალურ მატარებელ „შოთა რუსთაველით“ სტუმრად იყვნენ გეგეჭკორელები. მათ დედაქალაქის ბევრი ღირსშესანიშნაობა დაათვალიერეს, საღამოს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაესწრნენ „დაისს“. ღამით კი „შოთა რუსთაველის“ მატარებლით კვლავ დაბრუნდნენ გეგეჭკორში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ გეგეჭკორის რაიონის ტურისტული დელეგაციის წევრთა წერილებს.

□

გეგეჭკორელები სამეურნეო საქმიანობაშიც მოწინავენი არიან. ხუთწლედის პირველი წელი სასახელოდ დაამთავრეს. მოკრიფეს 10.425 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 9.120 ტონისა. სასახელოდ იშრომეს მესიმინდეებმა, მეცხოველეებმა, მეაბრეშუმეებმა, მევენახეებმა.

ხუთწლედის მეორე წლის დღეები სოფლად კარგად დაიწყო. წარმატებით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციებში მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა. მზად გვაქვს საგაზაფხულო კულტურების დასათესად ყველა სახის თესლი. ხუთწლედის მეორე წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე, დიად იუბილეს სახელოვანი შეხვედრა — ასეთია გეგეჭკორელთა გადაწყვეტილება.

**გ. ბახია,**
საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის მეორე მდივანი.

## დაუვიწყარი დღე

ჩვენ [illegible] დედაქალაქ[illegible] ღირსშესანიშნავი ადგილები, ვნახეთ ნაძალადევის ახალმშენებლობანი, ვაკის პარკი, ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, ისტორიული მეტეხი. ლენინის სახელობის მოედანზე თაიგულებით შევამკეთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი, შემდეგ მთაწმინდაზე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის მიხა ცხაკაიას საფლავი და კომუნარების ბაღში — საშა გეგეჭკორის საფლავი.



ორი წელია არ ვყოფილვარ თბილისში — და რამდენ რამეს ვხედავ ახალს, საინტერესოს. ეს დღეები ჩემთვის დაუვიწყარია.

**მარგო ჩიქვანაია,**
დაბა გეგეჭკორის კოლმეურნეობის წევრი, გმირი დედა, სოციალისტური შრომის გმირი.

## საიუბილეო დიპლომი მოპოვებულია

**რუსთავი.** (საქ. კორ.). საკავშირო პროფსაბჭოს ცენტრალურმა საბჭომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის „დიპლომები დაუწესა კულტსაგანმანათლებლო ორგანიზაციებს. ერთი ასეთი დიპლომი უკვე მიიღეს რუსთავში. მისი მფლობელი გახდა მეტალურგთა კულტურის სასახლის კოლექტივი, სადაც ამჟამად 28 სხვადასხვა სახის წრე ეწევა ფართო შემოქმედებით მუშაობას.

რუსთავის მშრომელთა შორის განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს საესტრადო ორკესტრი „ლალე“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „ახალგაზრდობა“, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე ბ. დარახველიძე ხელმძღვანელობს.

## სოფლის ბიბლიოთეკაში

**ზუგდიდი.** ნაყოფიერად მუშაობს ონარიის სასოფლო ბიბლიოთეკა. ყოველწლიურად იზრდება ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი მხატვრული, პოლი[illegible]

## ელექტროობა მაღალმთიან სოფელში

**მაიაკოვსკი.** (საქ. კორ.). რაიონის ყველაზე მაღალმთიან სოფელში საკრაულაში დამთავრდა სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოები. ახალ წელს ილიჩის ნათურების შუქმა გაანათა ორასამდე ოჯახი.

სოფელში ამუშავდა რადიოსადგური, დაიდგა 30-ნომრიანი სატელეფონო სადგური, აიგო ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

◆

## საიუბილეო საღამო

**ტყვარჩელის** კულტურის სასახლეში მოეწყო აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **სამსონ ჭანბას** დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ლეკვეიშვილმა. მწერლის ლიტერატუ[illegible]



## ახალი ამბები

## მოგზაურობენ

[illegible], ზე- შუალო სკოლის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის არგვეთის საშუალო სკოლის ორგანიზაციამ ამას წინათ სამდღიანი ექსკურსია მოაწყო.

არგვეთელები გაეცნენ ზუგდიდის ღირსშესანიშნაობებს, დაათვალიერეს სოხუმის ბოტანიკური ბაღი, ქალაქი სოჭი, იყვნენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კატერით გაისეირნეს ზღვაზე...

**ა. ანასაშვილი.**

## საზღვრის დამრღვევი დააკავეს

**ბრიგადირი** — ნელიანდაგე ავეზ შუკიუროვი რკინიგზის ლიანდაგს მიჰყვებოდა და ამოწმებდა. უცბად ლიანდაგის უშუალო სიახლოვეს ბუჩქებში ფაჩუნი მოესმა. ავეზმა ფრთხილად გადასწია ტოტები. მის წინ უცნობი მამაკაცი წამოიმართა.

— მატარებელს ველი, — თქვა მან გაუბედავად.

რკინიგზის სადგური შორს იყო და ამან მაშინვე დააეჭვა შუკიუროვი. უცნობი შეშინებული უყურებდა იქვე მახლობლად მომუშავე კოლმეურნეს ს. ფატალიევსა და ლიანდაგის მოახლოებულ დარაჯს მ. მამედოვს.

უცბად უცნობი სწრაფად შეტრიალდა და ჯაგნარში შევარდა საზღვრისაკენ.

— მესაზღვრეებს დაუძახეთ! — იყვირა შუკიუროვმა და თვითონ გაბედულად დაედევნა უცნობს. მალე მესაზღვრეებიც მოვიდნენ. შუკიუროვის, მამედოვისა და ფატალიევის დახმარებით მესაზღვრეებმა დააკავეს უცნობი, რომელიც სახელმწიფო საზღვრის დამრღვევი აღმოჩნდა.

გამოჩენილი სიფხიზლისათვის ბრიგადირი ა. შუკიუროვი, ლიანდაგის დარაჯი მ. მამედოვი და კოლმეურნე ს. ფატალიევი ნაწილის სარდლობის საპატიო სიგელებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ.

(საქდესის კორ.).

სსრ კავშირის სამხრეთის საზღვარი.

## შეხვედრა სამამულო ომის ვეტერანთან

**მახარაძე.** (საქ. კორ.). ამას წინათ სოფელ ნატანების საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და პიონერებმა შეხვედრა მოუწყეს დიდი სამამულო ომის ვეტერანს, მოსკოვის ლეგენდარული დაცვის მონაწილეს პოლკოვნიკ ანტონ ნაკაშიძეს.

თადარიგის პოლკოვნიკმა ა. ნაკაშიძემ მოსწავლეებს უამბო მოსკოვის დაცვის მეტად ძნელი და საინტერესო ეპიზოდები.

## მიწისქვეშა ბიძგი თბილისში

**30 იანვარს** თბილისში, 05 საათზე, 20 წუთსა და 26 წამზე ადგილობრივი დროით მოხდა დაახლოებით ოთხი ბალი სიძლიერის მიწისძვრა.

მიწისძვრის ეპიცენტრი, უთხრა საქდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის სეისმური დაკვირვების ერთიანი სისტემის კავკასიის ზონალური ცენტრის ხელმძღვანელმა ა. ცხაკაიამ, იყო თბილისიდან დაახლოებით 85 კილომეტრზე ჯავახეთის ქედის სამხრეთ კიდეში სომხეთის სსრ ტერიტორიაზე.

ქალაქ სტეფანავანში, რომელიც ყველაზე ახლოს იყო ეპიცენტრთან, იგრძნობოდა დაახლოებით ხუთი ბალი სიძლიერის ბიძგი.

ჯავახეთის ზეგანი ცნობილია ხშირი მიწისძვრებით. ამ მიწისქვეშა ქარიშხლების ეპიცენტრები მეტწილად მაღალი მთის, დაუსახლებელი რაიონებია. ამიტომ აქ მიწისძვრებს თითქმის არავითარი ზიანი არ მოაქვთ ახლომდებარე დასახლებული პუნქტების ნაგებობებისათვის.

ჩვენს საუკუნეში კავკასიის ამ რაიონში მოხდა რამდენიმე ძლიერი მიწისძვრა, რომელთა სიძლიერე ეპიცენტრის რაიონში 8 ბალს აღწევდა. ასეთ მიწისძვრებს განეკუთვნება ახალქალაქის მიწისძვრა, რაც 1899 წლის 31 დეკემბერს ღამით მოხდა, ლენინაკანის (1926 წელი), ტაბაწყურის (1940 წელი) და მადათაპის (1959 წელი). ეს ტექტონური ხასიათის მიწისძვრები გამოწვეული იყო მთათწარმოქმნის პროცესებით, რომლებიც ამჟამადაც მიმდინარეობს. (საქდესი).

# ფინიშის სიმძაფრე

XXXIV 1967

**საოცარი** დამთხვევაა! მეცხრამეტე ტურის სამ პარტიაში ერთმანეთს შეხვდნენ ოთხეულში გასვლის პრეტენდენტები. აბა ვინ გააცდენდა ამნაირ ტურს?

**ლეინს** მძიმე გამოცდა მოელოდა: მას ანგარიში უნდა ჩაებარებინა „უფროსისათვის“ — საბჭოთა კავშირის ჩემპიონ **შტეინისათვის**, ამასთანავე უნდა აეხსნა, თუ როგორ გაბედა გაესწრო ამდენი გროსმაისტერისათვის.

ცნობილია, რომ ტურნირში განსაკუთრებით ძნელია გადამწყვეტი პარტიის ჩატარება. **მიხეილ ბოტვინიკს** თავის შესანიშნავ პრაქტიკაში არაერთხელ მოუგია გადამწყვეტი პარტიები საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაზეც კი. ლეინს, რა თქმა უნდა, ჯერ ბევრი აკლია, სანამ „ბოტვინიკისებურ ხასიათს“ გამოიმუშავებდეს. ამ დღეებში მან წააგო **გელერთან** და ვერც კვირას ჩააბარა გამოცდა შტეინს. ლეინის მარცხის მიზეზი მისი მე-15 სვლა აღმოჩნდა. განაპირციელა რა გარღვევა ცენტრში, ლეინი კმაყოფილი წამოდგა მაგიდიდან. მას ეგონა, რომ ძლიერი მეტოქისათვის ფრიად უსიამოვნო სვლა გააკეთა, მაგრამ შტეინის უშუალო საპასუხო სვლის შემდეგ ლეინი ღრმად ჩაფიქრდა და დარწმუნდა, რომ სერიოზული შეცდომა მოუვიდა. ამ შეცდომის გამოსწორება შეუძლებელი აღმოჩნდა, რაც დამაჯერებლად დაამტკიცა შტეინმა, რომელიც საუცხოოდ თამაშობდა. უნდა ითქვას, რომ ლეინი. მძიმე პოზიციაში შესანიშნავად იცავდა თავს და ურთულებდა ამოცანას მეტოქეს. პარტია გადაიდო პოზიციაში, სადაც შტეინს ზედმეტი ხარისხი და მოგების შესაძლებლობა აქვს. **კრონგიუსმა** და **გელერმა** ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს — ხელს ნუ მახლებ, არც მე გახლებო.

## უკანასკნელისწინა ტური

**გუშინ** რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში შედგა საკავშირო ჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელისწინა მეთე ტური.

**შტეინ-კორჩნოის** შეხვედრაში მეტოქეებმა თავი აარიდეს ბრძოლის გამწვავებას და მალე ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა **ხოლმოვ-ნეისა** და **ოსნოს-სუეტინის** პარტიები.

ფინიშთან წაიბორძიკა ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა **პროზიუსმა.** იგი დამარცხდა **ვასიუკოვთან** შეხვედრაში. **ტაიმანოვმა** მოუგო **გურგენიძეს.**

დანარჩენი პარტიები გადაიდო. **გელერს** უკეთესი პოზიცია აქვს **ლიბერზონთან. გიპსლისის** მდგომარეობა არასახარბიელოა **დოროშკევიჩთან** გადადებულ პარტიაში. არც **ლეინს** აქვს პერსპექტიული პარტია **ნიკოლაევსკისთან.**

უკანასკნელი ტურის წინ ლიდერებს ე. გელერს, ლ. შტეინსა და მ. ტაიმანოვს თერთმეტნახევარ-თერთმეტნახევარი ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. 11,5 ქულა აქვს ვ. კორჩნოის.

ტუნისში გამგზავრების ორი პრეტენდენტი **გიპსლისი** და **ტაიმანოვი** უკომპრომისოდ იბრძოდა. გიპსლისმა ფინიშისათვის საუცხოო სიმშვიდე და სიმტკიცე შეინარჩუნა. როდესაც მას უყურებთ, შეუძლებელია თუნდაც მცირეოდენი აღელვება შეამჩნიოთ. ტაიმანოვმა მაინცდამაინც კარგად როდი გაითამაშა დასაწყისი, ვერ დაამთავრა ფიგურების განვითარება. გიპსლისი მშვენივრად ეწეოდა მანევრირებას. ტაიმანოვის ბანაკში ბევრი სუსტი პუნქტი იყო. გიპსლისმა მშვენივრად „მოიმკო მოსავალი“ და ორი ზედმეტი პაიკი დარჩა, მოსალოდნელია გიპსლისის მეტად მნიშვნელოვანი მოგება და ტაიმანოვის სერიოზული მარცხი.

რთული ამოცანა იდგა **კორჩნოის** წინაშე! მის მეტოქეს **ოსნოსს** ხომ არც ერთი პარტია არ წაუგია ამ ტურნირში გროსმაისტერებთან, დაამარცხა **გელერი, პოლუგაევსკი, ბრონშტეინი,** კორჩნოის ჰაერივით სჭირდებოდა მოგება. ამიტომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. გროსმაისტერი დიდი მონდომებით თამაშობდა, დაფას არ სცილდებოდა. მძაფრ ცაიტნოტში, უკვე საფსებით უიმედო პოზიციაში ოსნოსმა მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს გადააცილა. თბილისელებმა კორჩნოი მქუხარე ტაშით დააჯილდოეს.

ახლა, **ნეისთან** გამარჯვების შემდეგ, **პოლუგაევსკის** კიდევ უფრო სწყინს, რომ ასე დაუმსახურებლად დამარცხდა **გუფელდთან.** მართალია, მცირეოდენი შანსები ოთხეულში გასვლისათვის პოლუგაევსკის კიდევ რჩება, თუმცა ეს შანსები ძირითადად თეორიულ ხასიათს ატარებს.

რა კარგი იქნებოდა, რომ **გურგენიძე** ყოველთვის ისე მშვენივრად თამაშობდეს, როგორც კვირაობით. რა კარგად უტევდა იგი კიეველ **ნიკოლაევსკის!** გურგენიძის არტილერიამ ცეცხლი დააყარა ცენტრში დარჩენილ ნიკოლაევსკის მეფეს. რა თქმა უნდა, მაყურებლებმა იცოდნენ, რომ **ლეინ-შტეინისა** და **გიპსლის-ტაიმანოვის** პარტიები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გურგენიძის პარტია. მაგრამ პოზიცია იმდენად საინტერესო იყო, რომ ძნელი გახდა მისთვის მშვიდად თვალის დევნება. მაყურებლები ამ საღამოს გურგენიძის თამაშით ფრიად კმაყოფილნი იყვნენ, მაგრამ ყველა უკმაყოფილო დარჩა ნიკოლაევსკით. რატომ? იმიტომ რომ კიეველ ოსტატს არ ეყო სიმამაცე... დაეთმო პარტია.

**სმისლოვმა** ცუდად ითამაშა სტარტზე და ახლა ასევე ცუდად ამთავრებს შეჯიბრებას. ერთი სიტყვით, ამ ტურნირს არაფერი კარგი არ მოუტანია მსოფლიოს ექს-ჩემპიონისათვის. რაც შეეხება მის მეტოქეს ვ. **ლიბერზონს**, მან დაამტკიცა, რომ წარუმატებლობა სტარტზე შემთხვევითი მოვლენა იყო. მას შემდეგ, რაც ლიბერზონი დამშვიდდა, მისი საქმეები კარგად წავიდა. სამი წლის წინ ახალგაზრდა მოჭადრაკემ სძლია მსოფლიოს ჩემპიონს ტ. **პეტროსიანს.** ახლა მის მიერ დამარცხებულთა რიცხვს სმისლოვიც მიემატება. პარტია გადაიდო. სმისლოვი ეძებს მუდმივ ქიშს. მაგრამ რას ნახავს, რაც არ არის.

რამდენიმე მარცხის შემდეგ ძალა მოიკრიბა **სუეტინმა.** რატომ უნდა იღელვოს კაცმა, როცა დასაკარგი აღარაფერი დარჩა. **ვასიუკოვთან** სუეტინი დამაჯერებლად თამაშობდა და უდავოა ქულასაც მოიპოვებს.

დოროშკევიჩმა ბევრი მონაწილე გაამდიდრა, მაგრამ ბრონშტეინთან „გაფიცვა გამოაცხადა“. გადადებულ პოზიციაში ეს „გაფიცვა გრძელდება“. **ხოლმოვსა** და **გუფელდს** ეტყობა მიახნიათ, რომ ტურნირი უკვე დამთავრდა. შესაძლოა მათ კინოშიც აგვიანდებოდათ, ასეა თუ ისე, პარტია სწრაფად დამთავრდა ყაიმით.

**სალო ფლორი,**
გროსმაისტერი.

## „ტივოლის“ დარბაზში

**იანვრის** მიწურულში სპორტის მოყვარულები კიდევ ერთი ჩემპიონატის მოწმენი გახდნენ. ეს არის ევროპის მორიგი პირველობა ფიგურულ ციგურაობაში, რომელიც გუშინ იუგოსლავიის ქალაქ ლუბლიანას „ტივოლის“ დარბაზში გაიხსნა. „ოქროს მაძიებლები“ სტარტს დღეს აიღებენ, ფინიში კი 5 თებერვალს ექნებათ.

ყინულის მოედანზე გამოვლენ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ფიგურისტები და მოციგურავეები 17 ქვეყნიდან. საბჭოთა გუნდს სათავეში უდგას სახელგანთქმული წყვილი **ლიუდმილა ბელოუსოვა** და **ოლეგ პროტოპოპოვი.**

ვაჟთა ასპარეზობაში ერთმანეთს პირველობას შეეცილება 21 ფიგურისტი. მათ შორის არის ევროპის 1966 წლის ჩემპიონი ავსტრიელი ე. **დანცერი.** ქალთა შორის ოქროს მედლისათვის იბრძოლებს 24 მოციგურავე. წყვილთა ციგურაობაში საერთო ყურადღებას იპყრობს **ლიუდმილა ბელოუსოვასა** და **ოლეგ პროტოპოპოვის** გამოსვლა. აქ საპრიზო ადგილებისათვის იბრძოლებს 17 დუეტი. მოცეკვავეთა შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 18 წყვილი.

## კვლავ კეეს ვერკერკი

**ფინეთის** ქალაქ ლახტიში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ჩქაროსნულ ციგურაობაში ვაჟთათვის.

პირველი ორი დისტანციის (500 და 5.000 მეტრი) შედეგების ჯამით წინ იყო მსოფლიოს ჩემპიონი ჰოლანდიელი კეეს ვერკერკი. ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა გასული კვირადღის შეხვედრებს — 1.500 და 10.000 მეტრზე რბოლას. 27 გრადუსი ყინვის გამო 10.000 მეტრიანი დისტანცია 3.000-ანით შეიცვალა.

ამ დღესაც ჩინებულად გამოვიდა კეეს ვერკერკი. მან ყველაზე სწრაფად გაირბინა 1.500 მეტრი (2 წუთი და 12,9 წამი) და 3.000 მეტრი (4 წუთი და 41,2 წამი), შეაგროვა 180,277 ქულა და ევროპის ჩემპიონი გახდა. მომდევნო სამი ადგილი საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. ესენი იყვნენ **ვალერი კაპლანი, ედუარდ მატუსევიჩი** და **ანტს ანტსონი.**

## ეს მსოფლიო ჩემპიონატი იყო?

**მხოლოდ** ოთხმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა ფრენბურთელ ქალთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც იაპონიაში გაიმართა.

ამ ტურნირს, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა, ძნელია ეწოდოს მსოფლიოს პირველობა, რადგან მასში მონაწილეობა არ მიუღიათ ფრენბურთის ისეთი დიდი ტრადიციის ქვეყნებს როგორიც არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, უნგრეთი, სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

ოთხთა ასპარეზობაში წარმატება ოლიმპიურ ჩემპიონებს იაპონელ ფრენბურთელებს ხვდათ. მათ ყველა შეხვედრა მოიგეს 3:0.

## ბ. სპასკი — საჭადრაკო ფესტივალის მეირი

**ჰოლანდიის** ქალაქ ბევერვიკში დამთავრდა საჭადრაკო ფესტივალის მთავარი ტურნირი, სადაც სხვებთან ერთად გამოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები გროსმაისტერი ბ. სპასკი და ოსტატი ა. ლუტიკოვი.

სატურნირო ცხრილის სათავეში თანაბარი ქულებით დიდხანს იდგნენ საბჭოთა მოჭადრაკეები. ბოლო ტურებში დაწინაურდა ბ. სპასკი, რომელმაც 15 შესაძლებლიდან შეგროვილი 11 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა ა. ლუტიკოვი. მან მეორე ადგილი დაიკავა.

მათ შემდეგ ადგილები დაიკავეს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომელთა შორის იყვნენ დანიელი და იუგოსლავი გროსმაისტერები ბ. ლარსენი და ს. გლიგორიჩი.

**ჟიურიმ** შეაჯამა შედეგები ლიტერატურული კონკურსისა, რომელიც „ცისკარმა“ ორ დიად თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს და უკვდავი ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნა.

საუკეთესო მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებზე გამოცხადებულმა კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია. რედაქციამ 116 ნაწარმოები მიიღო. ამ ნაწარმოებთა უმრავლესობა ასახავს საბჭოთა ახალგაზრდობის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების მრავალფეროვან შემოქმედებით ცხოვრებას. ბუნებრივია, რომ წარმოდგენილი რომანებისა და მოთხრობების იდეურ-მხატვრული დონე თანაბარი ან ყოველთვის დამაკმაყოფილებელი როდია. სწორედ ამიტომ იყო, რომ კონკურსის ჟიურის მოუხდა ხანგრძლივი და დაკვირვებული მუშაობა, რათა შეერჩია ყველა საუკეთესო ნაწარმოები. კონკურსში მწერლებთან ერთად მონაწილეობდნენ პედაგოგები, ექიმები, ინჟინრები, სტუდენტები.

# გამარჯვებულნი

## „ცისკრის“ კონკურსის შედეგები

ჟიურის გადაწყვეტილებით „ცისკრის“ პირველი პრემია არც ერთ ნაწარმოებს არ მიენიჭა.

მეორე პრემია და ფულადი ჯილდო 800 მანეთის ოდენობით მიენიჭათ რომანს **„ჩემი პატარა ლანდი“** (ავტორი — მასწავლებელი **გიორგი კეჭაღმაძე,** მახარაძის რაიონი) და მოთხრობას **„დილის თერთმეტიდან შუადღემდე“** (ავტორი — ექიმი **გურამ სხირტლაძე,** ქ. ონი).

მესამე პრემია და ფულადი ჯილდო 500 მანეთი მიენიჭათ მოთხრობებს **„თეთრი კუნძული“** (ავტორი — მინერალურ ნედლეულთა კავკასიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, მწერალი **თამაზ გოდერძიშვილი,** თბილისი) და **„ხვალ ჩემი დაბადების დღეა“** (ავტორი — ლენინგორის რაიონის ადგილობრივ რადიოგადაცემათა კორესპონდენტ-ორგანიზატორი **ელისო ბურდინოვა).**

ჟიურის დასკვნით ჟურნალში დასაბეჭდად რეკომენდებულია ნაწარმოებები: მოთხრობა **„თამამი ნაბიჯები“** (ავტორი ინჟინერ-მეტალურგი **ბეჟან ლეჟავა,** რუსთავი). რომანი **„დის თავსაფარი“** (ავტორი მწერალი **აკაკი გეწაძე,** თბილისი). მოთხრობები **„შენი მწვანე და“** (ავტორი — ახალგაზრდა მწერალი, არქეოლოგი **გურამ დოჩანაშვილი,** თბილისი), **„ჩემი დღე“** და **„წელიწადის დასასრული“** (ავტორი — ახალგაზრდა კინოდრამატურგი **ამირან ჰიჰინაძე,** თბილისი). **„ბოლო გაჩერება“** ავტორი — მშენებელ-კონსტრუქტორი **სულხან გაბუნია,** თბილისი); „კუდიანი პეპელა“ (ავტორი — ეკონომისტი **მერაბ გველესიანი,** თბილისი), **„ვიცხოვროთ მშვიდად“** (ავტორი—მანქანათმშენებლობის ტექნიკოსი **ალექსი წიკლაური,** სადგური ლილო).

შერჩეულია აგრეთვე კონკურსზე წარმოდგენილი საყურადღებო ნაწარმოებები: „მე ვეძებ ევროპას“ (კობა ქადაგიძე). „ვინა ხარ შენ, აზა დათუსანო!“ (ყარამან კიკვიძე). „დამწვარი არყისხე (მწერალი გიორგი ქავთარაძე). „კოსმოსის მეგობრები“ (მწერალი ოთარ სადრაძე). „პირველი ზაფხული“ (გოჩა არჩვაძე). „ადგილი ცხოვრებაში“ (ალექსანდრე ლორია). „როცა სხვის მიწაზე ხარ“ (ზურაბ გემაზაშვილი). „პოლარული წრისაკენ“ (თენგიზ ფიფია). „ერთი ახალგაზრდის ცხოვრებიდან“ (აბესალომ თოდუა). „ოღუბლები შენ გქონდეს“ (ახალგაზრდა მწერალი მირონ ხერგიანი), „მთებს ნისლი გადაეყარა“ (დიმიტრი ლობჟანიძე) და სხვ.

რამდენიმე სიტყვა კონკურსში გამარჯვებულთა შესახებ:

გიორგი კეჭაღმაძე უკვე რამდენიმე წიგნის ავტორია. მისი რომანი „ჩემი პატარა ლანდი“ დაწერილია ადამიანთა ზნეობრივ ურთიერთობაზე. ახალგაზრდის სულიერ და ეთიკურ ჩამოყალიბებაზე, მის ფიქრებზე. შრომაზე, სიყვარულსა და სწავლაზე. ნაწარმოები გამოირჩევა მოქალაქეობრივი პათოსითა და რთული ფსიქოლოგიზმით.

გურამ სხირტლაძემ ამ რამდენიმე წლის წინათ „ცისკარში“ გამოაქვეყნა თავისი პირველი მოთხრობა „სანამ სასტუმრო „გაზაფხული“ აშენდებოდეს“. პროფესიით ექიმი, იგი სიყვარულითა და საქმის ცოდნით აგვიწერს თავისი კოლეგების ფიქრებსა და საქმიანობას.

„თეთრი კუნძული“ ლირიკულ-რომანტიკული მოთხრობაა, რომელიც ახალგაზრდა მწერალს თამაზ გოდერძიშვილს ეკუთვნის. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მისი მოთხრობები ხშირად ქვეყნდება ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე.

როგორც ჩვენთვის, ისე ფართო მკითხველისათვის სასიამოვნოა ახალგაზრდა ჟურნალისტის ელისო ბურდინოვას წარმატება „ცისკრის“ ლიტერატურულ კონკურსში. მისი მოთხრობა „ხვალ ჩემი დაბადების დღეა“ დაწერილია ჩინებული ქართულით. მოთხრობის გმირი — ბავშვთა სახლში გაზრდილი გოგონა წმინდა მორალური წარმოდგენებით ცხოვრობს და სხვებისგანაც ასეთსავე მორალურ სიწმინდეს მოითხოვს. ნაწარმოებში პოეტურად არის გადმოცემული ქალვაჟის სიყვარული.

ნიჭიერ მწერალს აკაკი გეწაძეს კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი, როგორც შესანიშნავი მოთხრობებისა და ლექსების ავტორს. რამდენიმე მათგანი „ცისკარში“ დაიბეჭდა. ახლახან საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მისმა პიესამ „წმინდანები ჯოჯოხეთში“ ყველაზე მაღალი ჯილდო მოიპოვა. „დის თავსაფარში“ სამამულო ომის მონაწილე მწერალი გვიხატავს მტერთან ჩვენი ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის სურათებს. ამაღელვებლად მოგვითხრობს ამ ბრძოლის ქარცეცხლში დაბადებული ფაქიზი სიყვარულის ამბავს.

შრომის პროცესის მიმზიდველი და ზუსტი აღწერა. ახალბედა ინჟინერ-მეტალურგების პირველი სამუშაო დღე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. სიყვარული და მეგობრობა — ეს არის ბეჟან ლეჟავას მოთხრობის „თამამი ნაბიჯების“ თემა და სწორედ ამით გვხიბლავს ეს ნაწარმოები.

ამირან ჰიჰინაძის ვრცელი მოთხრობები „ჩემი დღე“ და „წელიწადის დასასრული“ მეტყველებს ავტორის უდავო შესაძლებლობაზე. გვჯერა, რომ ამ ნაწარმოებს ინტერესით წაიკითხავენ „ცისკრის“ ახალგაზრდა მკითხველები, რადგან მათივე თანატოლების ცხოვრება და შრომა კარგად არის დახატული ამ მოთხრობებში.

გურამ დოჩანაშვილმა სწორედ ახალი წლის წინ გამოსცა თავისი პირველი წიგნი. მოთხრობა „შენი მწვანე და“ დაწერილია ფაქიზად, გამართული ენით. მასში აღწერილია სტუდენტური ცხოვრება. ახალგაზრდა მწერალი გვახარებს საინტერესო ფსიქოლოგიური დაკვირვებებით.

სულხან გაბუნიას პირველი მოთხრობა „ცისკრის“ 1966 წლის მეთერთმეტე ნომერში გამოქვეყნდა. „ბოლო გაჩერება“ გვარწმუნებს, რომ ავტორი სერიოზულად იბრძვის თავისი ლიტერატურული ოსტატობის ამაღლებისათვის.

მერაბ გველესიანის „კუდიანი პეპელა“ უფრო საბავშვო მოთხრობაა. ავტორი დღიურების საშუალებით ცოცხლად გადმოგვცემს ნაწარმოების გმირის — ჭკვიანი და ცნობისმოყვარე ბიჭუნას თავგადასავალს.

ალექსი წიკლაურის მოთხრობა „ვიცხოვროთ მშვიდად“ გვაცნობს საკოლმეურნეო სოფლის ადამიანთა საინტერესო სახეებს.

ბევრი კეთილი სიტყვის თქმა შეიძლება იმ ავტორებზეც, რომელთა ნაწარმოებები საყურადღებოდ მიიჩნიეს ჟიურიმ და რედაქციამ. დიდი და გულმოდგინე მუშაობის შემდეგ ამ მოთხრობებსაც უთუოდ იხილავს ჩვენი მკითხველი.

მინდა მივმართო იმ ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომელთა სახელებსა და გვარებს ამ კონკურსის შედეგების მიხედვით ვერ ვასახელებთ: გულს ნუ გაიტეხთ, ძვირფასო მეგობრებო, თქვენი თანატოლების დღევანდელი გამარჯვება თქვენი ხვალინდელი გამარჯვებაც არის, თუ კი... თუ კი შრომას არ შეუდრკებით და ძალას არ დაიშურებთ.

„ცისკრის“ სარედაქციო კოლეგია და რედაქციის მთელი კოლექტივი მადლობას უხდიან კონკურსის ყველა მონაწილეს და უსურვებენ თვითეულ მათგანს შემოქმედებით გამარჯვებას.

**ხუტა ბერულავა,**
ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი, ჟიურის თავმჯდომარე.

## დისერტაციების დაცვა

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 1)

**1967 წლის 15 თებერვალს** დღის 2 საათზე № 93 აუდიტორიაში **მიროსლავ ციპრო** პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მორალური აღზრდის საკითხები“.**

**11 თებერვალს** დღის 1 საათზე № 107 აუდიტორიაში **დავით ევგენის-ძე ცინცაძე** იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საზოგადოებრიობის მონაწილეობა წინასწარი გამოძიების სტადიაზე“.**

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 3, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში)

**13 თებერვალს** დღის 2 საათზე **ტატიანა ვიქტორის ასული ფეოდოროვა** ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ექვს და რვა ცვლადიანი ზოგიერთი კვადრატული ფორმით რიცხვთა წარმოდგენის შესახებ“.**

**13 თებერვალს** დღის 3 საათზე **იზაბელა ალექსანდრეს ასული ტოროშელიძე** ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ზოგიერთი არაწრფივი დიფერენციალური განტოლების ამოხსნათა ასიმპტოტური წარმოდგენის შესახებ“.**

**15 თებერვალს** დღის 2 საათზე № 87 აუდიტორიაში **გიორგი ისიდორეს-ძე ხარატიშვილი** ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„რუსულ დრამატულ თეატრში კ. მარჯანიშვილის რეჟისორული მოღვაწეობის შესწავლისათვის“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

## ჩა ვცხოვრობთ, ჩა მოვისმენთ

## ტელევიზია

**31 იანვარი**

11.00 — კინონარკვევები, 11.40 — მხატვრული ფილმი „დაუმორჩილებელი ბატალიონი“ (ქართული ვარიანტი), 14.30 — გადმოცემა მოსკოვიდან, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის კონცერტი. 18.30 — გადაცემა „პლუს ელექტროფიკაცია“ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შესახვედრად, 18.55 — ახალი ამბები, 19.10 — სატელევიზიო ჟურნალი „ირმის ნახტომი“, 20.00 — ხელოვნების ოსტატები — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვ. მერკურიევი (გადმოცემა ლენინგრადიდან). 21.30 — მხატვრული ფილმი „გადაწყვეტილება“, 22.55 — პროგრამა პირველი თებერვლისათვის, 23.00—გადმოცემა მოსკოვიდან, 23.30 — საღამოს შეხვედრები (გადმოცემა მოსკოვიდან).

**მეცხრე არხით** — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 ს. საღამოს 17 ს. 45 წ.

**1 თებერვალი**

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00—ყველაზე პატარებისათვის „ცეროდენას ეკრანი“. 18.50 — განცხადებები. 19.00 — გადმოცემა მოსკოვიდან „სამშობლოს პანორამა“ (საქართველო). 19.30 — გადაცემა — „ჩვენი თანამემამულენი ლენინის ქალაქში“. 19.55—კინონარკვევი. 20 10 — კონცერტი. 20.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.50 — მხატვრული ფილმი („უცხოელი ქალი“ (ქართული ვარიანტი). 21.55 — გადაცემათა პროგრამა 2 თებერვლისათვის, 22.00 — ევროპის პირველობა ფიგურულ სრიალში (გადმოცემა ლიუბლიანიდან).

**მეცხრე არხით** — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 ს. საღამოს 17 ს. 45 წ.

## თეატრები

**31 იანვარი**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — თქმულება ტარიელზე. **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — უკანასკნელი მასკარადი. **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (ცხაკაიას რაიონის მშრომელთათვის). **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** ჩანიტას კოცნა. **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კოცონი შინდისგორაზე (№ 48 აბონ. დღის 10 ს.). ეშმაკის მოწაფე (№ 33 აბონ. (საღ. 6 ს.).

რედაქტორი

**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90. წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 03940

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.